ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 36-ე წელი № 206 (10292) | ოთხშაბათი, 31 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ერეკლეული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

მშვიდობისა და პროგრესისათვის. — „პრავდის“ 29/VIII მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

სტალინგრადის ჰესის მშენებლობის ხუთი წელი (1-ლი გვერდი).

მეცნიერების მიღწევები — მშვიდობიანი მშენებლობის სამსახურში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემების ინსტიტუტში (მე-2 გვერდი).

მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობას. — **გ. ზუკაკიშვილი, რ. დავითური.** — ხელიდან უშვებენ საუკეთესო დროს. **მ. ხეთაგური.** — შეფების დახმარებით (მე-3 გვერდი).

დ. იაშვილი. — ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის (მე-3 გვერდი).

ს. ხარაზიშვილი, გ. ოქრუაშვილი. — ერთი დაუმთავრებელი მშენებლობის ისტორია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშვიდობისა და პროგრესისათვის

საბჭოთა სახელმწიფო მუდმივ ზრუნვას იჩენს მეცნიერების განვითარებისათვის. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მასშტაბი ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით დიდდება.

მეცნიერება და ტექნიკა მიდიან მაღალი და ზემაღალი სიჩქარის, წნევისა და ტემპერატურის სულ უფრო მეტი დაუფლების გზით. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის მწვერვალია შიდაატომური ენერგიის მიღებისა და გამოყენების მეთოდების აღმოჩენა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, რომელმაც დიდი და პასუხსაგები ამოცანები დასახა ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ჩვენ ვიმყოფებით იმ ახალი მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო რევოლუციის მიჯნაზე, რომელიც თავისი მნიშვნელობით დიდად აღემატება ორთქლისა და ელექტრობის გამოჩენასთან დაკავშირებულ სამრეწველო რევოლუციებს.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევაა ჩვენს ქვეყანაში პირველი სამრეწველო ატომური ელექტროსადგურის შექმნა, რომელიც შარშან ზაფხულში ამუშავდა. მისი მშენებლობა შესაძლებელი გახდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის აყვავებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა მეობებით. ატომური ელექტროსადგური საბჭოთა კავშირის იმ უდიდეს წარმატებათა მკაფიო განხორციელებაა, რომლებიც მიღწეულია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ელექტროსადგურის ენერგია შედის მაღალვოლტიან რგოლში და მას იყენებენ ამ რგოლში მოქმედი სხვა ელექტროსადგურების გამომუშავებულ ენერგიასთან ერთად მრეწველობისა და სახოფლო-სამეურნეო წარმოების საჭიროებისათვის, იგი შუქს აძლევს ახლომახლო ქალაქებსა და სოფლებს.

პირველი ატომური ელექტროსადგური ჩვენს ქვეყანაში ატომის ენერგეტიკის განვითარების მეცნიერული ბაზაა. მის გამოცდილებას ფართოდ გამოიყენებენ ახალი, უფრო ძლიერი ატომური ელექტროსადგურების მშენებლობასა და ექსპლოატაციაში.

ატომის ენერგიას სულ უფრო ფართოდ იყენებენ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წელს გამართულ სპეციალურ სესიაზე, აგრეთვე ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ ჟენევაში გაიმართა, საბჭოთა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ის ფართოდ არის გამოყენებული სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მედიცინასა და მეცნიერულ კვლევაში.

ატომის ქვაბების შექმნამ დიდი შესაძლებლობა მოგვცა რადიაქტიური იზოტოპების — სხვადასხვა ქიმიური ელემენტების სახესხვაობათა წარმოებისათვის. მაგალითად, რადიაქტიურმა იზოტოპებმა უზრუნველყვეს მეტალურგიულ წარმოებაში ლაბორატორიული და სამრეწველო კვლევის სიზუსტის გადიდება, მნიშვნელოვნად გააადვილეს თუჯიანა და ფოლადის გამოდნობის პროცესების შესწავლა. საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა გადაჭრეს მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ რადიაქტიური იზოტოპების დამარაბით შეიქმნას ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის ახალი, მეტად ეფექტიანი მეთოდები. სსრ კავშირში დაგროვებულია მანქანების ხახუნის, გაცვეთისა და დაზეთვის სხვადასხვა საკითხის გადაჭრაში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების გამოცდილება.

მეცნიერების ახალი მიღწევანი საბავენ კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების, კერძოდ, კვების პროდუქტების სტერილიზაციისა და დაკონსერვების გაუმჯობესების, კარტოფილისა და ბოსტნეულის შენახვის ვადების გაგრძელებისა და თესლის გაღივების დაჩქარების ფართო გზებს. რადიაქტიური იზოტოპები შესაძლებელს ხდიან დავაკვირდეთ ნიადაგში მიმდინარე პროცესებს, მცენარეთა მიერ კვების ელემენტების გამოყენებას, მათს ქსოვილებში სხვადასხვა შენაერთის მოძრაობას, ნივთიერებათა გაცვლის რეაქციებს, რომლებიც მცენარეთა უჯრედებში ხდება.

საბჭოთა კავშირში რადიაქტიურ იზოტოპებს, უმთავრესად რადიაქტიურ კობალტს, ფოსფორს, იოდსა და ოქროს, იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობისას.

ქიმიური ელემენტების იზოტოპებს სულ უფრო ფართოდ იყენებენ საბჭოთა მეცნიერების ლაბორატორიებში. მათი დახმარებით შესაძლებელი გახდა ჩავწვდომოდით ბუნების საიდუმლოებას, დაგვენახა ის, რაც წინათ მიუწვდომელი იყო ადამიანის თვალისათვის. ამან შესაძლებელი გახადა, კერძოდ, დაგვეზუსტებინა ზოგიერთი მონაცემი ტვინის ქიმიური შემადგენლობის შესახებ, შეგვესწავლა ტვინში ნივთიერებათა გაცვლის ცალკეული პროცესები.

საბჭოთა მეცნიერება, ეუფლება რა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების ხერხებს, თავის განვითარებაში ემყარება მძლავრ ექსპერიმენტულ ბაზას.

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს კორესპონდენციას იმ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ, რასაც ასრულებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემათა ინსტიტუტში სინქროციკლოტრონის — რთული საინჟინრო ნაგებობის დახმარებით. ეს მუშაობა მოწმობს საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების წარმატებებს იმ პროცესების შეცნობაში, რომლებიც ატომგულებში ხდება. ამ დარგში კვლევის შემდგომი განვითარება კიდევ უფრო გაამდიდრებს მეცნიერებას, ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის სამსახურში ჩააყენებს ბუნების მძლავრ ძალებს.

საბჭოთა კავშირის მიღწევები ატომის ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაში კანონიერ აღტაცებას იწვევს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

განთქმულმა დანიელმა ფიზიკოსმა ნილს ბორმა, შეაფასა რა საბჭოთა მეცნიერების მუშაობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში, განაცხადა: „ამ შრომებმა მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. თქვენ უდიდესი მუშაობა გაგიწევიათ“. „აღტაცებული ვარ იმ შესანიშნავი მუშაობით, რაც რუსეთში შესრულებულია ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის“, — თქვა გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა ერნესტ ლოურენსმა. „ჩვენში, ინგლისში, — აღნიშნა პროფესორმა ჯონ კოკროფტმა, — შემუშავდა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება ატომის ენერგიაზე მეცნიერულ-ტექნიკური მუშაობის დარგში რუსების ღონისძიებათა შესახებ“.

შეეხო რა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ჟენევის კონფერენციის მუშაობის შედეგებს, ფრანგმა ფიზიკოსმა ფრანსის პერენმა აღნიშნა, რომ ყველაზე საინტერესო მოხსენებანი იქ საბჭოთა მეცნიერებმა გააკეთეს. „ჩემზე, — თქვა იტალიელმა მეცნიერმა ფრანციოკო ჯიორდანომ, — ძლიერი და კეთილსასურველი შთაბეჭდილება მოახდინა მუშაობამ, რომელიც რუსებმა ატომგულის თეორიის დარგში შეასრულეს“.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკის ერთგული საბჭოთა ხალხი ენერგიულ ღონისძიებებს იღებს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სფეროების გაფართოებისათვის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლების გარეთაც. საბჭოთა კავშირი ჩინეთს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, რუმინეთს, ბულგარეთს, უნგრეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მეცნიერულ-ტექნიკურ და საწარმოო დახმარებას უწევს, რათა შექმნან მეცნიერულ-ექსპერიმენტული ბაზები ატომგულის ფიზიკის დარგში კვლევის განვითარებისა და ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის. სსრ კავშირი პოლონეთისათვის, ჩეხოსლოვაკიისა, რუმინეთისა, უნგრეთისა, ბულგარეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დააპროექტებს და დაამზადებს ორი ათასი კილოვატი თბოსიმძლავრის საცდელ ატომის ქვაბებსა და ციკლოტრონებს 25 მილიონამდე ელექტრონვოლტის ენერგიის მქონე ნაწილაკების მისაღებად. ჩინეთისათვის საბჭოთა კავშირი დააპროექტებს და დაამზადებს 6,5 ათასამდე კილოვატ თბოსიმძლავრის საცდელ ატომის ქვაბს და ციკლოტრონს 25 მილიონამდე ელექტრონვოლტის ენერგიის მქონე ნაწილაკების მისაღებად.

საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა, რომ მზად არის განიხილოს იმ ქვეყნების წრის გაფართოების საკითხი, რომლებისათვისაც ხელშეწყობა და დახმარება შეუძლია ჩვენს სახელმწიფოს ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაში.

საბჭოთა ხალხი კმაყოფილებით შეხვდა აზრებისა და ინფორმაციის იმ ფართო გაცვლას, რაც ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურ კონფერენციაზე მოხდა ამას წინათ ჟენევაში. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეები სათანადო ყურადღებით შეისწავლიან თავიანთი უცხოელი კოლეგების მიღწევებს ამ საქმეში და თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში გამოიყენებენ ყოველივე ძვირფასს, რაც მათ დააგროვეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მრეწველობის დარგში, სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების უზრუნველყოფასთან ერთად, აღიარა წარმოების ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება. „ამ ამოცანის გადაწყვეტის ძირითადი პირობა, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, — უნდა იყოს ტექნიკური გაუმჯობესების ტემპის მკვეთრი გაძლიერება მრეწველობის ყველა დარგში საწარმოო პროცესების ელექტროფიკაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, დიდი წარმადობის უახლესი ჩარხების, მანქანებისა და აპარატების დანერგვის, წარმოების ტექნოლოგიის განუწყვეტელი გაუმჯობესების, ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების ბაზაზე“.

კონსტრუქტორების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების პირდაპირი ვალია უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთ პრაქტიკაში მიღწევები თანამედროვე მეცნიერებისა, რომელიც გვიჩვენებს კაცობრიობის საკეთილდღეოდ ამ მიღწევათა ყოველმხრივი გამოყენების გზებს. ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, რომ ეს მეცნიერება ვითარდებოდეს ხულ უფრო მზარდი მასშტაბით, რომ ჩვენმა მეცნიერებმა უფრო ფართოდ გააჩაღონ თავიანთი კეთილშობილური მოღვაწეობა და სულ ახალი და ახალი წარმატებანი მოიპოვონ საბჭოთა სამშობლოს ინტერესებისათვის, მშვიდობისა და პროგრესისათვის.

„პრავდის“ 29/VIII მოწინავე.

სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს ვადამდე შეასრულა ტორფის მოპოვების წლიური გეგმა

ელექტროსადგურების სამინისტროს ტორფის საწარმოებმა ვადაზე 14 დღით ადრე შეასრულეს ტორფის მოპოვების წლიური გეგმა. შესრულებულია აგრეთვე ტორფის მრეწველობის მუშაკთა მიერ ნაკისრი ვალდებულება — გეგმის გადამეტებით მოიპოვონ 800 ათასი ტონა ტორფი.

ფრეზერული ტორფის მოპოვება გრძელდება.

ელექტროსადგურების სამინისტროს ტორფის საწარმოები მთელ ყურადღებას აქცევენ ამჟამად მთავარი ამოცანის გადაჭრას — უზრუნველყონ ნაპერი ტორფის უსწრაფესად გახმობა და აღება, მომავალი წლის სეზონისათვის ტორფის მინდვრების მომზადება. (საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

ჯილდოები — მოწინავე კომბაინერებს

მიმდინარე წელს საქართველოში მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის, კომბაინების მაღალი წარმადობით გამოყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა წითელის მტს-ის კომბაინერი გ. დოლიძე. მან წარმატებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, 10 დღეში მოსავალი აიღო 326 ჰექტარზე და გალეწა 4.090 ცენტნერი მარცვალი, საშუალოდ ჰექტარზე 12,5 ცენტნერი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვეს აგრეთვე მთელმა რიგმა მექანიზატორებმა.

შირაქის მტს-ის კომბაინერმა ი. ქემოსტელმა 10 დღეში მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავალი აიღო 288 ჰექტარზე და გალეწა 4.900 ცენტნერი, საშუალოდ ჰექტარზე 17 ცენტნერი.

გამარჯვების მტს-ის კომბაინერმა მ. გონაშვილმა 10 დღეში მომკა 320 ჰექტარი და გალეწა 4.480 ცენტნერი, საშუალოდ ჰექტარზე 14 ცენტნერი;

რ. ჯავახიშვილმა მომკა 330 ჰექტარი და გალეწა 4.800 ცენტნერი, საშუალოდ ჰექტარზე 14,5 ცენტნერი;

გ. ბატიაშვილმა მომკა 330 ჰექტარი და გალეწა 5.750 ცენტნერი, საშუალოდ ჰექტარზე 17,1 ცენტნერი;

ვ. ჭრელაშვილმა მომკა 320 ჰექტარი და გალეწა 4.760 ცენტნერი, საშუალოდ ჰექტარზე 15 ცენტნერი;

დ. გოგოლაშვილმა მომკა 330 ჰექტარი და გალეწა 4.960 ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე 15 ცენტნერი;

ა. ხარაშვილმა მომკა 330 ჰექტარი და გალეწა 6.000 ცენტნერი, საშუალოდ ჰექტარზე 18,2 ცენტნერი;

ი. გონაშვილმა მომკა 320 ჰექტარი და გალეწა 6.160 ცენტნერი, საშუალოდ ჰექტარზე 19,2 ცენტნერი;

ვ. კოტაშვილმა მომკა 320 ჰექტარი და გალეწა 5.600 ცენტნერი, საშუალოდ ჰექტარზე 17,5 ცენტნერი.

მუშაობის კარგად მოწყობისა და მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის მოკლე ვადებში აღების დავალების წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ამხ. კუჩუმოვის ბრძანებით ზემოაღნიშნული კომბაინერები დაჯილდოებული არიან ათას-ათასი მანეთით.

მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა პირველი ტომი ქართულ ენაზე

სახელგამმა ქართულ ენაზე გამოუშვა მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა პირველი ტომი.

წიგნი გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

„ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგები“

ქართულ ენაზე გამოიცა ბროშურა, რომელშიც მოთავსებულია ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენება „ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგები“ და საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე 1955 წლის 4 და 5 აგვისტოს.

ბროშურა გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა, რომელიც თბილისელთა მოწოდების პასუხად ერთსულოვნად ჩაება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გააჩაღა ბრძოლა აღებულ ვალდებულებათა გადაჭარბებით განადღებისათვის. სურათზე: კომბინატის ახალ საამქროში. წინა პლანზე მოწინავე მუშა დ. კოვალენკო, რომელიც პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებას 160 პროცენტით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ერევნელ თანამოძმეებთან შეჯიბრებაში

სამტრედია. (საკ. კორ.). სკკპ XX ყრილობისათვის უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად სამტრედიის გ. თელიას სახელობის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივი შეჯიბრებაშია ჩაბმული ერევნის 8 მარტის სახელობის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივთან.

ერევნელ თანამოძმეებთან შეჯიბრებამ დიდად შეუწყო ხელი ფაბრიკის მუშაობის გაუმჯობესებას, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის კოლექტივის დარაზმვას. ფაბრიკამ 7 თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა და 1.164.000 მანეთი ზეგეგმითი თანხა დააგროვა. კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები აქვს აგვისტოში. აგვისტოს ორი დეკადის დავალება განაღდებულია 110,9 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივი თანდათან ეუფლება რიტმს, დღითიდღე აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. განვლილ 7 თვეში ფაბრიკის კოლექტივმა პირველხარისხოვანი პროდუქციის ჭეოდრითი წონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 პროცენტისა 78 პროცენტამდე აიყვანა.

ფოთელი მტვირთავეგის მიღწევა

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის ნავსადგურის მუშაკთა კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების მოწინავე ადამიანთა მიმართვას პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღების შესახებ და იკისრა 1955 წლის გეგმის შესრულება ორნახევარი თვით ადრე — 15 ოქტომბრისათვის.

წელს ნავსადგურის კოლექტივი დიდი წარმატებით მუშაობს. ტვირთბრუნვის მოცულობა მან 1950 წლის დონესთან შედარებით უკვე 65 პროცენტით გაადიდა. განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვა ნავსადგურის პირველი საწარმოო რაიონის კოლექტივმა, რომელმაც მეხუთე ხუთწლედი 15 აგვისტოს შეასრულა.

ფოთის ნავსადგურის მტვირთავები შრომითს ვახტზე დგანან და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

აგური გეგმის გადამეტებით

ქასპი. (საკ. კორ.). მეტეხის აგურის მექანიკურ ქარხანაში ფართოდ არის გაჩაღებული პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ქარხნის კოლექტივმა ივლისის გეგმა სასჯელოდ შეასრულა, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 320 ათასი ცალი მაღალხარისხოვანი აგური. არანაკლები წარმატებით მუშაობენ მეტეხელი მეაგურეები აგვისტოში. თბილისის საწარმოთა მოწინავე ადამიანების მომართვის პასუხად მათ იკისრეს წლიური გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულონ და წლის ზოლომდე გეგმის გადამეტებით რამდენიმე მილიონი ცალი აგური გამოუშვან.

ახალციხელთა ვალდებულებები

ახალციხე. (საკ. კორ.). თბილისელთა მიმართვის პასუხად ახალციხელი მეუახტეები ერთსულოვნად და დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმის შესრულება 21 დეკემბრისათვის.

შახტების კოლექტივებმა ბოლო დროს გადაჭრით გაუმჯობესეს მუშაობა. ახლა სისტემატური გადაჭარბებით ასრულებენ სადღეღამისო მოპოვების გეგმას პირველი და მეორე შახტები. ხორციელდება დიდი ღონისძიებები შახტების საპროექტო სიმძლავრეთა ასათვისებლად.

ახალი მანქანები ქვანახშირის შახტებისათვის

გორლოვკა. ტორეცის ქარხანამ, ხარკოვის ქარხანამ „მეშახტის შუქმა“ და ქვანახშირის მანქანათმშენებლობის სხვა საწარმოებმა წელს აითვისეს მიწისქვეშა სამთო სამუშაოთა 50-ზე მეტი ახალი მანქანა და მექანიზმი. მათ შორის ხვეტია კონვეიერები, რომლებიც საათში 100 ტონაზე მეტ ქვანახშირს გადატვირთავენ, დისტანციური მართვის მექანიზებული სამაგრი სპეციალური გადამწევით, „გვირაბი 600“ ტიპის მძლავრი ვენტილატორი დახუული და დაგრძელებული სამთო გვირაბების გასაწმენდავლად.

დონეცის № 38-10 შახტ „კურახოვკაში“ დამონტაჟებულია 800 მეტრზე მეტი სიგრძის ლენტური კონვეიერის საცდელი ნიმუში. მისი წარმადობა ამჟამად მოქმედ ასეთსავე გადასატვირთავ მექანიზმებთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდია. ახალ კონვეიერს გამოიყენებენ დონბასის, კუზბასის, ყარაგანდის ქვანახშირის ლავებში. მისი საშუალებით ბევრად გადიდდება ქვანახშირის ამოღება.

კონსტრუირებულია „დონბასის“ ტიპის ახალი ქვანახშირის კომბაინები დონეცის შახტების 50 ლავისათვის. ისინი იმუშავებენ მექანიზებულ რკინაბეტონის გამაგრებასთან კომპლექსში. თვითეული კომბაინით შესაძლებელი იქნება ერთთორად მეტი ქვანახშირის ამოღება, ვიდრე იღებენ მსგავსი მანქანებით, რომლებიც ახლა მუშაობენ შახტებში.

წელს შექმნილი მანქანების გამოყენებით შესაძლებელი გახდება წელიწადში რამდენიმე მილიონი ტონით გადიდდეს ქვანახშირის ამოღება. (საკდესი).

ქალაქის მცხოვრებნი კოღმეუნიეობებში შედიან

ლენინგრადი, 29 აგვისტო. (საკდესი). მინდვრის საზაფხულო სამუშაოთა დროს ვოლოსოვოს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელებში შევიდა ლენინგრადისა და გარეუბნების სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების 90 ოჯახი. ახალდასახლებულებმა მიიღეს პროდუქტები, აგრეთვე სესხი მშენებლობისათვის და პირუტყვის შესაძენად. მათ ქონების გადასახიდავად უფასოდ მიეცათ ტრანსპორტი. პირველი დღეებიდანვე ისინი აქტიურად ჩაებნენ მუშაობაში. მარტო უკანასკნელ ოთხ თვეში ოლქის სასოფლო-სამეურნეო არტელებში მიღებულია 3 ათასამდე კაცი.

დაიხურა სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა

29 აგვისტოს დაიხურა 1953-54 წლების სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა, რომელიც დიდი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ტრეტიაკოვის გალერეის დარბაზებში და მხატვრის სახლისა და სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის საგამოფენო სადგომებში წარმოდგენილი იყო ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ორი ათასზე მეტი ნაწარმოები, რომლებიც შექმნილია უკანასკნელ ორ წელიწადში.

საბჭოთა მხატვრების ახალმა ნაშრომებმა მოსკოველებისა და სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია. მარტო ტრეტიაკოვის გალერეის დარბაზები შვიდ თვეში ინახულა 875 ათასზე მეტმა კაცმა. სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა დაათვალიერა ოთხი ათასზე მეტმა ექსკურსანტთა ჯგუფმა. (საკდესი).

27 ათასი ახალი მედიკოსი სწყდებოდა

საბჭოთა კავშირის სამედიცინო ინსტიტუტებში დამთავრდა მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. იმ უმაღლეს სასწავლებელთა პირველ კურსზე, რომლებიც ექიმებსა და ფარმაცევტებს ამზადებენ, მიღებულია 27 ათასზე მეტი სტუდენტი — მეტი, ვიდრე შარშან შემოდგომაზე.

როგორც საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში აცნობეს, მეცადინეობა მომავალ სასწავლო წელს ახალი სასწავლო პროგრამით და გეგმებით იწყებოდა. ახალი პროგრამის შესაბამისად ექიმები მიიღებენ უფრო ღრმა ცოდნას თერაპიაში, ქირურგიასა და მეანობაში. ყველა სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაში შეტანილია რენტგენ-რადიოლოგიის სწავლება.

სპეციალისტების — რენტგენოლოგებისა და რადიოლოგების გამოშვების გაფართოების მიზნით 30 სამედიცინო ინსტიტუტში შეიქმნა რენტგენ-რადიოლოგიის კათედრები. (საკდესი).

სტალინგრადის ჰესის მშენებლობის ხუთი წელი

ვოლჟსკი. 29 აგვისტო. (საკდესი). ხუთი წლის წინათ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ვოლგაზე, სტალინგრადის ცოტა ზემოთ, დაიწყო სტალინგრადის ჰესის მშენებლობა.

მას შემდეგ მძლავრი მდინარის ნაპირები ეაღრესად შეიცვალა, უდაბურ იმიერვოლგის მხარეში გაშენდა დიდი ქალაქი ვოლჟსკი. მის გარშემო აშენდა ქარხნებისა და დამხმარე საწარმოების კორპუსები, ველი დაისერა გზატკეცილებისა და რკინიგზების ხშირი ქსელით. ფართოდ გაჩაღდა მუშაობა ჰიდროკვანძის ასაგებად. ამჟამად მძლავრი ტექნიკით შეიარაღებულ ჰიდრომშენებლებს წყალსაშვები კაშხალისა და რაბის ქვაბულებიდან ამოაქვთ მიწა, ჰესის შენობასა და რისბერმაში აწყობენ რკინაბეტონს.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სტალინგრადის ჰესის მშენებლობის უფროსმა ი. ი. გაევსკიმ განაცხადა:

— ხუთ წელიწადში ჩვენმა კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულა. ჰიდრომშენებლებმა შეავიწროვეს ვოლგა, მისი კალაპოტის თითქმის შუაგულში გათხარეს გიგანტური ქვაბული. მიწისმწოვმა მანქანებმა და ექსკავატორებმა იქიდან ამოიღეს მილიონობით კუბური მეტრი გრუნტი. სულ კი მშენებლობის დაწყებიდან მექანიზატორებმა ჰიდროკვანძის მარტო ძირითად ნაგებობებზე გადაამუშავეს 75 მილიონი კუბური მეტრი მიწა.

შესანიშნავად მუშაობენ მშენებლობაზე ჰიდრომექანიზატორები. მათმა მცურავმა მიწისმთხრელებმა ქვაბულებიდან, არხებიდან ამოიღეს და ჯებირებში, ზღუდარებსა და კაშხალებში ჩაყარეს 62 მილიონი კუბური მეტრი გრუნტი.

მაგრამ ამჟამად უკვე არა მიწის, არამედ ბეტონის სამუშაოები განსაზღვრავენ მშენებლობის ხასიათს. მშენებლობის დაწყებიდან ჩაწყობილია 400 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონი, აქედან წელს ჩაიწყო 215 ათასი კუბური მეტრი. მუშაობის ტემპი განუწყვეტლივ იზრდება. თუ წლის დამდეგს ჩვენ თვეში 9-11 ათას კუბურ მეტრ ბეტონს ვასხამდით, ივლისსა და აგვისტოში ბეტონის ჩასხმა 35 ათას კუბურ მეტრამდე გადიდდა.

ბეტონის ძირითადი სამუშაოები ამჟამად წარმოებს ჰესის პირველი ოთხი აგრეგატის ადგილზე და სამონტაჟო მოედანზე. ამ დღეებში ჩვენი კოლექტივი შეუდგება წყალსაშვები კაშხალის დაბეტონებას, სადაც წლის დამლევამდე ჩაიწყობა სულ ცოტა 40 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონი.

სტალინგრადჰიდრომშენზე შექმნილია მძლავრი საწარმოო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ჰიდროკვანძის ძირითად ნაგებობათა მშენებლობას. პროდუქციას იძლევიან ბეტონის ქარხანა, რომლის წარმადობა დღეღამეში 8 ათასამდე კუბური მეტრია, სარემონტო-მექანიკური და ავტოსარემონტო ქარხნები, არმატურის ქარხანა, ხის დამმუშავებელი კომბინატი და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

დიდი მუშაობა წარმოებს სტალინგრადელ ჰიდრომშენებელთა ქალაქის — ვოლჟსკის შემდგომი აშენებისათვის. ხუთ წელიწადში აშენდა 170 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ათობით კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება: სკოლები, საავადმყოფოები, კინოთეატრები, სბავშვო ბაღები და ბაგები.

სახლთმშენებლებმა წელს ბევრი რამ უნდა გააკეთონ. საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს სულ ცოტა 60 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, დამთავრდეს კულტურის სასახლისა და მთელი რიგი სხვა კულტურული დაწესებულებების, დიდი სტადიონის აგება.

მშენებლობაზე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. სტალინგრადელმა ჰიდრომშენებლებმა იკისრეს პარტიის ყრილობას ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ.

მეცნიერების მიღწევები—მშვიდობიანი მშენებლობის სამსახურში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემების ინსტიტუტში

აგვისტოს მზის სხივებით განათებულია ფიჭვნარი, ოქროსფრად ბრწყინავს განიერი ხეივანი, რომელსაც აქაიქ პატარა კორპუსების ჩრდილი ეფინება. ამ თვალწარმტაც კუთხეში სუფევს სიჩუმე — მკვლევარის ერთგული მეგობარი. აქ ყველაფერი ხელს უწყობს ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას, მატერიის უმცირესი ნაწილაკების საიდუმლოებაში ჩაწვდომას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემების ინსტიტუტი, რომლის შუშაობასაც ჩვენ დღეს ვეცნობით, სწავლობს ადამიანის თვალისაგან დაფარულ სამყაროს. მეცნიერები შეიცნობენ ამ სამყაროს, ეყრდნობიან რა კვლევის უახლეს მეთოდებს, უზუსტეს თანამედროვე ხელსაწყოებს, მძლავრ ტექნიკას, რომლითაც ისინი სოციალისტურმა ინდუსტრიამ შეაიარაღა, თავიანთ წინამორბედთა დიად აღმოჩენებს.

მატერიის აღნაგობაზე შეხედულებათა განვითარება

აქ ჩვენ გვიამბობენ იმ გენიალურ მოაზროვნეთა უკვდავ მეცნიერულ საქმეებზე, რომლებმაც თავიანთი შრომებით გზა გაკაფეს ახალ აღმოჩენათათვის.

ჯერ კიდევ უძველეს დროში იყო ცდები მოენახათ უმდიდრესი მატერიალური სამყაროს შემადგენელი ელემენტები. მაგალითად, ძველ ჩინეთში ჯოუს ეპოქის პირველ საუკუნეებში (1122-221 წლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ფართოდ იყო გავრცელებული წარმოდგენები სამყაროს ხუთი პირველელემენტის — ხის, ლითონის, წყლის, ცეცხლისა და მიწის შესახებ.

ძველ ინდოეთში ჩარვაკთა მატერიალისტური მოძღვრების მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ეთერის, ჰაერის, ცეცხლის, წყლისა და მიწას კომბინაციის გზით იქმნება არა მარტო არაცოცხალი მატერიალური ობიექტები, არამედ ცოცხალი ორგანიზმებიც, მათ შორის მცენარეები და ცხოველები.

სამყაროს აღნაგობის შესახებ მთელი რიგი საინტერესო ვარაუდები გააკეთეს ძველი საბერძნეთის მატერიალისტებმა. თალეს ყველაფრის საფუძველად წყალი მიაჩნდა. ანაქსიმენი უსასრულო მატერიად ჰაერს გულისხმობდა, ხოლო ჰერაკლიტე ყოველივეს პირველსაფუძვლად ცეცხლსა თვლიდა. შემდეგ ადამიანის ცოდნის განვითარებაში გენიალური წვლილი შეიტანეს ლევკიპმა, დემოკრიტემ და ეპიკურმა. ძველ დროის დიდი ფილოსოფოსი დემოკრიტე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 460-370 წლებში ცხოვრობდა, აცხადებდა, რომ სამყარო არის ნივთიერების ერთი და ერთადერთი, მაგრამ სიღიდითა და ფორმით სხვადასხვა უმცირესი ნაწილაკების — ატომების უსასრულო სიმრავლე.

მოძღვრება ატომების შესახებ, რომელიც ძველი დროის ფილოსოფოსებმა წამოაყენეს როგორც ვარაუდი, მეცნიერულ ჰიპოთეზად დაამუშავეს რენე დეკარტმა, პიერ გასენდიმ და სხვა მეცნიერებმა. მატერიის აღნაგობის ატომურ-მოლეკულური თეორიის საფუძვლები შექმნა დიდმა რუსმა მეცნიერმა მ. ვ. ლომონოსოვმა. მატერიის აღნაგობის შესახებ მეცნიერების შემდგომ განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა დ. ი. მენდელეევის პერიოდულმა კანონმა და ა. მ. ბუტლეროვის ქიმიური აღნაგობის თეორიამ.

საბჭოთა მეცნიერები ჯეროვნად აფასებენ ვილჰელმ რენტგენის, ჯოზეფ ტომსონის, ანრი ბეკერელის, პიერ კიურის, მარიამ კიური-სკლოდოვსკაიას, ალბერტ აინშტაინის, ერნესტ რეზერფორდის, ნილს ბორის, პოლ ლანჟევენის, ფრედერიკ და ირენ ჟოლიო-კიურის, ენრიკო ფერმის, ხideკი იუკავას, ვერნერ ჰაიზენბერგის, პოლ დირაკის, მაქს ბლანკის, ვოლფგანგ პაულის, ლუი დე ბროილის, კარლ ანდერსონის, ერნესტ ლოურენსისა და სხვა იმ მეცნიერთა შრომებს, რომლებმაც თავიანთი მეცნიერული შემოქმედებით ძვირფასი წვლილი შეიტანეს მატერიის აღნაგობის შესახებ მეცნიერების განვითარებაში.

მიმდინარე საუკუნის მიჯნაზე ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს ატომის რთული სტრუქტურა, მისი გაყოფადობა. ამ აღმოჩენებმა, ვ. ი. ლენინს განსაზღვრით, გამოიწვია უახლესი რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში.

ფიზიკოსებმა ატომი წარმოიდგინეს უკვე რთული სისტემის სახით, რომელიც ატომგულისა და ელექტრონებისაგან შედგება. მაგრამ ატომის შემადგენელ ნაწილაკებს ბევრი მეცნიერი განიხილავდა როგორც უკანასკნელ ნაწილაკებს, რომლებიც შემდგომ აღარ იყოფა. ხელმძღვანელობდა რა მარქსისტული დიალექტიკური მეთოდით, განაზოგადებდა რა თანამედროვე მეცნიერების უახლეს მიღწევებს, ამ მეტაფიზიკურ წარმოდგენათა წინააღმდეგ გაიღაშქრა ვ. ი. ლენინმა.

„...თუ გუშინ, — წერდა ვლადიმერ ილიას-ძე ფიზიკაში მომხდარ ახალ აღმოჩენათა შესახებ, — ეს ღრმად ჩაწვდომა ატომს არ სცილდებოდა, დღეს კი ელექტრონსა და ეთერს არ სცილდება, დიალექტიკური მატერიალიზმი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ადამიანის წინამამავალი მეცნიერების მიერ ბუნების შეცნობის ყველა ეს ნიშანსვეტი დროებითი, შეფარდებითი, დაახლოებითი ხასიათისაა. ელექტრონი ისევეთ **ამოუწურავია,** როგორც ატომი...“

ატომგულის ბრწყინვალე ბედი

...ატომგულის პრობლემების ინსტიტუტის ლაბორატორიის კორპუსი.

მაგიდაზეა ნახაზები, სქემები, ნახატები. ქათქათა ქაღალდს ეფინება ზაფხულის დღის სინათლე, რომელიც ოდნავ მომწკინოა ფანჯრის ახლოს მდგომი ხეებისაგან.

ერთ-ერთი მეცნიერი თანამშრომელი კედელზე დაკიდებულ დაფასთან მიდის და ზედ ცარცით ხატავს დიდ წრეს.

— დაახლოებით ასეთია,—მოგვაგონებს იგი, —ატომის გარეთა გარსი, რომელიც ელექტრონებისაგან შედგება, თუ მას რამდენიმე მილიარდჯერ გავადიდებთ. თანამედროვე წარმოდგენებით, იმ ქიმიური ელემენტების ატომებს, რომლებისგანაც მთელი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება შედგება, რთული აღნაგობა აქვთ. თვითეული ატომი შეიცავს ატომგულს, რომელიც დადებითი ელექტრომუხტის მატარებელია, და ელექტრონებს, რომლებიც უდიდესი სიჩქარით ბრუნავენ ატომგულის გარშემო. ეს მუდმივი, განუწყვეტელი მოძრაობა უზრუნველყოფს ატომის როგორც ერთიანი მთლიანობის არსებობას.

უარყოფითი ელექტრომუხტის მატარებელი ელექტრონები ატომში ფენებად დგებიან. რაც უფრო რთულია ატომი, მით უფრო მეტია იქ ელექტრონული გარსები.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ატომის სიდიდეზე, ძნელია გამოვიყენოთ ისეთი ერთეულები, როგორიც არის გრამი და სანტიმეტრი. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მსუბუქი ელემენტის — წყალბადის ატომის მასა უდრის 0,000000000000000000000000167 გრამს, ხოლო მისი რადიუსი შეადგენს დაახლოებით 0,000000005 სანტიმეტრს. წყალბადის ასი მილიონი ატომი მწკრივად, მიჯრით რომ დავლაგოთ, მაშინ ამ მწკრივის სიგრძე მხოლოდ ერთი სანტიმეტრი იქნება.

მიგვითითებს რა დაფაზე გამოხატული წრის ცენტრზე, ჩვენი თანამშრომელი ამბობს:

— აქ კი ატომის „გულია“ — ატომგული. მასში თავმოყრილია ატომის თითქმის მთელი მასა, თუმცა ატომგულს მოცულობით ატომში სრულიად უმნიშვნელო ნაწილი უჭირავს. ჩვენი წარმოდგენით წყალბადის ატომი ოცდათასართულიანი სახლის სიღიდემდე რომ გაგვედიდებინა, ამ ატომის გული, თუ მას ასეთივე მასშტაბით გავადიდებთ, მილიმეტრის რამდენიმე მეათედი ნაწილადის დიამეტრს მქონე ოიტის ოდენა იქნებოდა. თუ როგორია ატომგულში ნივთიერების სიმკვრივე, ამაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ, თუნდაც ასეთი შედარებით. ასანთის კოლოფი მჭიდროდ, შუალედების დაუტოვებლად რომ ავავსოთ ატომგულებით, მისი წონა სამ მილიარდ ტონაზე მეტი იქნებოდა. ასეთი წონის ტვირთის გასატანად საჭირო იქნებოდა ექვსი წლის განმავლობაში ყოველ წუთში გაგვეშვა რკინიგზის შემადგენლობა.

— ატომგული თავის მხრივ, — განაგრძობს ჩვენი თანამოსაუბრე, — შედგება კიდევ უფრო წვრილი ნაწილაკებისაგან — ნუკლონებისაგან. გამორკვეულია, რომ ატომგულთა შემადგენლობაში შედიან ორი სახის ნუკლონები — პროტონები და ნეიტრონები. პროტონები — თავისი აღნაგობით ყველაზე მარტივი ატომის—წყალბადის ატომგულებია. პროტონის მასა 1.836-ჯერ უფრო დიდია ელექტრონის მასაზე. პროტონები და ელექტრონები ელექტრულად დამუხტული ნაწილაკებია. მათშია სიდიდით ერთნაირი, მაგრამ ნიშნებით მოპირდაპირე მუხტები. ელექტრონისაგან განსხვავებით პროტონი დამუხტულია დადებითად. ატომგულთა შემადგენლობაში შემავალი ნეიტრონები მოკლებული არიან ელექტრომუხტს, ესე იგი ნეიტრალური არიან. მასით ნეიტრონი ოდნავ აღემატება პროტონს. ატომგულებში ნეიტრონები და პროტონები შეკავშირებულია ატომგულის უაღრესად ძლიერი სპეციფიკური ძალებით.

ატომგულის პრობლემების ინსტიტუტში წარმოებს კვლევა, რომელიც რამდენიმე ხდის ფარდას მიკროსამყაროს საიდუმლოებას. ექსპერიმენტებში, რომლებსაც აქ ახორციელებენ, მონაწილეობენ არა მარტო ნეიტრონები და პროტონები, არამედ სხვა „ელემენტარული“ ნაწილაკებიც, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს.

ჩვენი თანამოსაუბრე გვიამბობს მეზონზე — იმ ნაწილაზე, რომელსაც თავისი მასით ელექტრონსა და პროტონს შორის შუალედი მდგომარეობა უჭირავს. მეზონები პირველად აღმოჩენილ იქნა კოსმიური სხივების შესწავლისას. ისინი იქმნებიან იმის შედეგად, რომ კოსმიური გამოსხივების ნაწილაკები ეჯახებიან დედამიწის ატმოსფეროს შემადგენლობაში შემავალი ელემენტების ატომგულებს. უფრო გვიან მოხერხდა მათი მიღება ხელოვნური გზით ლაბორატორიულ პირობებში — დამუხტული ნაწილაკების დაჩქარებელთა დახმარებით. ამჟამად ცნობილია მეზონების რამდენიმე ნაირსახეობა, რომლებიც აღინიშნება ბერძნული ასოებით μ (მიუ), π (პი), τ (ტაუ), θ (ეტეა)... ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მასით, ელექტრომუხტით, არსებობის დროით. მაგალითად, დადებითად დამუხტული პი-მეზონი წამის მხოლოდ ერთი ორმოცმემილიონედი წილის განმავლობაში არსებობს.

— შემდეგ რა ბედი ეწევა?

— იგი იშლება და ქმნის სხვა „ელემენტარულ“ ნაწილაკებს, რომლებსაც ნაკლები მასა აქვთ, — მიუ-მეზონსა და ნეიტრინოს („ელემენტარული“ ნაწილაკი, რომელსაც ელექტრომუხტი არა აქვს და მასით ნოლს უახლოვდება).

ამას წინათ აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ახალი ნაწილაკები, რომლებსაც ჰიპერონები უწოდეს. თავიანთი მასით ისინი პროტონებს აღემატებიან.



ატომგულის პრობლემების ინსტიტუტში. ცენტრალური კორპუსი, რომელშიც მოთავსებულია სინქროციკლოტრონი.

მათი არსებობის ხანგრძლივობა კი ასჯერ უფრო მოკლეა, ვიდრე პი-მეზონებისა.

„ელემენტარული“ ნაწილაკები აქტიური მონაწილენი არიან იმ ურთულესი პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობს ატომის სიღრმეში, ატომგულში.

ატომგულის მძლავრი ძალები

— რატომ არიან ატომგულები არაჩვეულებრივად მტკიცე?

თანამედროვე ფიზიკას მიაჩნია, რომ ატომგულის შიგნით პროტონებსა და ნეიტრონებს შუა მოქმედებენ განსაკუთრებული ძალები, რომლებიც ნუკლონებს ერთიან მთლიანობად აერთებენ. ეს ძალები რომ არ ყოფილიყო, პროტონები, როგორც ერთნაირი მუხტის მქონენი, სხვადასხვა მხარეს გაიფანტებოდნენ. მაგრამ ატომგულშიდა ძალები იმდენად დიდია, რომ ისინი ატომგულს განსაკუთრებით მტკიცეს ხდიან. ამაშია კოლოსალური ატომგულშიდა ენერგიის წყარო.

სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც მეცნიერები ბუნების ამ საიდუმლოებისადმი იჩენენ. რომ შეიცნობდეს, თუ რა არის ატომგულის ძალები, როგორ მოქმედებენ ისინი ატომგულის აღნაგობაზე, როგორია ატომგულის აღნაგობა, ფიზიკა თავის განვითარებაში ახალ მწვერვალებს მიაღწევდა. ეს კაცობრიობას შესაძლებლობას მისცემდა მოენახა ატომგულშიდა ენერგიის გამოყენების ახალი გზები, ამოუწურავს გახდიდა დედამიწის ენერგეტიკულ რესურსებს.

თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ის, რომ ატომის ქვაბებში ენერგიის წყაროდ იყენებენ ურანის ერთ-ერთ ნაირსახეობას — მის იზოტოპ 235-ს. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ატომგულშიდა ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების გზაზე. მის მისაღებად ჯერჯერობით იყენებენ მხოლოდ ურანის ატომგულთა გაყოფის ჯაჭვურ რეაქციას, რომელსაც ადამიანი მართავს. ასეთი პროცესის შედეგად თავისუფლდება ატომგულში დაფარული ენერგიის უდიდესი მარაგის მხოლოდ სრულიად მცირე ნაწილი. საკმარისია ითქვას, რომ ამ დროს ურანის ატომგულში არსებული მთელი ენერგიის ერთ მეათასედ წილზე ნაკლები თავისუფლდება.

— მომავალში მეცნიერება, — ამბობს ჩვენი თანამოსაუბრე,—მონახავს ატომგულშიდა ენერგიის ფართოდ გამოყენების სხვა, კიდევ უფრო სრულყოფილ ხერხებსაც.

ატომგულის ძალების პრობლემის ყველაზე ნაყოფიერი და ეფექტიანი გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ იმის შესწავლისას, თუ როგორია მეტად მაღალი ენერგიის მქონე „ელემენტარული“ ნაწილაკების ურთიერთ მოქმედება ატომგულებთან. მაღალი ენერგიის ნაწილაკების მიღებისათვის, ესე იგი კოლოსალურ სიჩქარემდე მათი გაქანებისათვის, მეცნიერები იყენებენ სპეციალურ მოწყობილობებს, რომლებსაც დამუხტულ ნაწილაკთა დამჩქარებლები ეწოდება.

ასეთ მოწყობილობათა დახმარებით ისინი ყოველმხრივ იკვლევენ სხვადასხვა ატომგულებს, იჭრებიან ამ ატომგულთა სიღრმეში, იკვლევენ სხვადასხვა „ელემენტარულ“ ნაწილაკებს. ფიზიკოსები შეისწავლიან ამ ნაწილაკების ურთიერთ მოქმედებას ერთმანეთს შორის და რთულ ატომგულებთან, ხელოვნურად იღებენ ახალ ნაწილაკებს, რომლებსაც წინათ მხოლოდ სამყაროს სივრციდან დედამიწაზე მოსულ კოსმიურ სხივებში პოულობდნენ.

მსოფლიოში უდიდესი სინქროციკლოტრონი

ფართო ხეივანს მივყავართ მაღალ შენობასთან. ეს ინსტიტუტის ცენტრალური კორპუსია. აქ არის დამუხტულ ნაწილაკთა დამჩქარებელი — სინქროციკლოტრონი, რომელიც რთულ საინჟინრო ნაგებობას წარმოადგენს.

მის შექმნაში ჩვენმა სახელმწიფომ ჩააბა საბჭოთა მძიმე ინდუსტრიის რამდენიმე დარგის, და უწმინდეს ყოველისა ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოები. ატომგულის პრობლემების ინსტიტუტის სინქროციკლოტრონის — ამ ტიპის დამუხტულ ნაწილაკთა მსოფლიოში ყველაზე დიდი დამჩქარებლის — მშენებლობას აწარმოებდა მუშათა, ინჟინერთა და მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი პროფესორ ფ. ვ. ეფრემოვისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტების შ. გ. შეშერიაკოვისა და ა. ლ. მინცის ხელმძღვანელობით.

ინსტიტუტის ხელმძღვანელები გვიწევენ სპარგებლოთ პერსონალის მუშაობის ხანმოკლე შესვენებით და დავათვალიეროთ სინქროციკლოტრონი. ჩვენ მივდივართ მისი მთავარი დარბაზის კართან, მაგრამ შეტყობინება გვაფრთხილებს:

— შესვლა აკრძალულია!

კიდევაც რომ უგულებელვყოთ ეს გაფრთხილება და ვცადოთ კარში შესვლა, იგი მაინც არ გაიღება. აქ ყველაფერია გათვალისწინებული, რომ ადამიანს აეშოროს მისი ჯანმრთელობისათვის მავნე გამოსხივებათა ზემოქმედება. დანადგარი, სადაც ნაწილაკთა დაჩქარება ხდება, გამოყოფილია სქელი კედლებით. რკინაბეტონი ქმნის საიმედო საფარს ნეიტრონებისა და გამა-სხივებისაგან.

შესვენება ჯერ კიდევ არ დამდგარა, და მის მოლოდინში ჩვენ ვეცნობით ლაბორატორიას, რომელიც მთავარი დარბაზის შესასვლელის ახლოს მდებარეობს. თეორხალთიანი თანამშრომლები სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით აღნუსხავენ მაღალი ენერგიის ნაწილაკებით გამოწვეულ უმცირეს პროცესებს.

მაგრამ აი გამოცხადდა შესვენება, და კარზე შეტყობინება გვაუწყებს:

— შესვლა ნებადართულია!

...შევდივართ მთავარ დარბაზში.

იგი თანამედროვე სამრეწველო საწარმოს უზარმაზარ საამქროს მოგვაგონებს. აქ ყველაფერი დიდებული და მკაცრია. აქ დადგმული მოწყობილობა გვაოცებს გრანდიოზული სიდიდით. მაგალითად, ელექტრომაგნიტი შვიდი ათას ტონას იწონის! მაგნიტის პოლუსის დიამეტრი ექვს მეტრს შეადგენს. მის კოლუსზე ეერცხლისფრად ბრწყინავს იმ ქარხნის მარკა, რომელმაც იგი დაამზადა: ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილა“.

შიგდავართ მაგნიტთან და მისი უდიდესი ძალის მოწმენი ვხდებით. ჩვენს ჯიბეებში რკინის გასაღებები ამოძრავდნენ. გასაღებებს ხელში რომ აიღებ, ადვილად შეიძლება შეამჩნიო მაგნიტური არეს ძალოვანი ხაზების მიმართულება. იატაკზე დამრეცად დადებული ალუმინის სქელი ფირფიტა ერთბაშად კი არ ეცემა, არამედ ნელა, ზანტად. ძლიერი მაგნიტური ველის მოქმედებით ფირფიტაში წარმოიქმნება ეგრეთწოდებული ფუკოს დენები. სწორედ ისინი აფერხებენ ფირფიტის დაცემას.

ელექტრომაგნიტი ქმნის მაგნიტურ არეს, რომელიც აუცილებელია სინქროციკლოტრონის მუშაობისათვის.

— როგორია სინქროციკლოტრონის მოწყობილობის სქემა? როგორია მისი მოქმედების პრინციპი?

მთავარი ინჟინერი სქემატურ ნახაზს გვიჩვენებს. შორიდან გეგონება, რომ იქ გამოხატულია დიდი ლოკომენი.

— ნაწილაკები სინქროციკლოტრონის მაგნიტურ არეში განუწყვეტლივ გადიდებული სიჩქარით მოძრაობენ გაშლილ სპირალზე, რომელიც საათის დახვეულ ზამბარას მოგვაგონებს. მათი სიჩქარე იზრდება რამდენიმე კილომეტრიდან 240-250 ათას კილომეტრამდე წამში და, ამრიგად, უახლოვდება შუქის სიჩქარეს.

— სად, სინქროციკლოტრონის რა ნაწილში ხდება ეს პროცესი?

— მაგნიტის პოლუსებს შორის თქვენ ხედავთ უზარმაზარ ლითონის კოლოფ-კამერას, რომლის შიგნითაც ნაწილაკები იღებენ ამ კოლოსალურ სიჩქარეს.

მთავარი ინჟინერი მიგვითითებს გიგანტურ ტუმბოებზე, რომლებიც განუწყვეტლივ ტუმბავენ კამერიდან ჰაერს, რომელიც იქ დარჩენისას დაარღვევდა ნაწილაკთა მოწესრიგებულ მოძრაობას. აქ წნევა არ აღემატება ატმოსფეროს რამდენიმე მილიონერდად წილს.

— როგორ ხდება ნაწილაკთა სიჩქარის მატება?

მთავარი ინჟინერი მოკლედ აგვიწერს კამერის შიგნითა მოწყობილობას. კამერაში მოთავსებულია ორი ელექტროდი, რომლებიც იკვებება მაღალი ძაბვის დენით. დენს აქ აწვდის მაღალი სიხშირის გენერატორი — მძლავრი მოკლეტალღიანი რადიოსადგური. გენერატორით მიწოდებული დენის სიხშირე დროში იცვლება ვარიატორის შემწეობით. ეს არის მექანიზმი, რომელიც სინქროციკლოტრონის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს და რომელიც მას განასხვავებს ციკლოტრონისაგან. ვარიატორის გამოყენება უზრუნველყოფს სინქრონულობას, ესე იგი ორი პროცესის — მაგნიტურ არეში ნაწილაკის ბრუნვისა და ელექტროდებზე მაღალი სიხშირის ძაბვის მიწოდების უზუსტეს დამთხვევას დროში. ასეთი მექანიზმი რომ არ ყოფილიყო, ნაწილაკები, მიაღწევდნენ რა შედარებით მცირე სიჩქარეს, ვეღარ მიიღებდნენ შემდგომ დაჩქარებას.

კამერის ცენტრში, რომელიც ემთხვევა მაგნიტური არეს ცენტრს, მოთავსებულია ეგრეთწოდებული იონური წყარო, რომელიც განკუთვნილია დამუხტული ნაწილაკების მისაღებად. დამუხტული ნაწილაკები, რომლებიც მისგან გამოტყორცნებიან, „ტრიალებენ“ მაგნიტურ არეზე, მოხვდებიან აჩქარებულ შუალედში და აქ ენერგიის პირველ დამატებით ულუფას იღებენ. ამის შედეგად ისინი იწყებენ მოძრაობას რამდენადმე უფრო დიდი რადიუსის მქონე ტრაექტორიით. შემდეგ ისინი კვლავ და კვლავ გაივლიან დამჩქარებელ შუალედს და თვითეულ შემთხვევაში იღებენ ენერგიის ახალ-ახალ ულუფას. მაქსიმალური სიდიდე ენერგიისა, რომელსაც ნაწილაკი იძენს სპირალისებური ტრაექტორიით მისი მოძრაობის დასასრულს, პირდაპირ დამოკიდებულია მაგნიტური არეს სიდიდესა და მაგნიტის რადიუსზე.

ციკლოტრონებზე მიღებული პროტონების ზოვრული ენერგია არ აღემატება 20 მილიონ ელექტრონვოლტს. მაგრამ ჩვენს წინაშე არის არა ჩვეულებრივი ციკლოტრონი, არამედ სინქროციკლოტრონი. სადაც შესაძლებელი გახდა ციკლოტრონის შეზღუდულ შესაძლებლობათა გადალახვა. ამ ტიპის დამჩქარებლის მოქმედება ემყარება ეგრეთწოდებული ავტოფაზირების პრინციპს, რომელიც წამოაყენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ვ. ი. ვექსლერმა 1944 წელს, აგრეთვე, მისგან დამოუკიდებლად, — ამერიკელმა ფიზიკოსმა მაკ-მილანმა 1945 წელს.

სინქროციკლოტრონს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, იყენებენ პროტონების ასაჩქარებლად 680 მილიონ ელექტრონვოლტ ენერგიამდე. მისი შემწეობით მიიღება დადებითი და უარყოფითი პი-მეზონების ინტენსიური კონები ენერგიით 400 მილიონ ელექტრონვოლტამდე და ნეიტრონების კონები 600 მილიონი ელექტრონვოლტი ენერგიით. ამ დამჩქარებლის შემწეობით შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე დეიტრონები (ძმიმე წყალბადის—დეიტერიუმის ატომგულები) 420 მილიონი ელექტრონვოლტი ენერგიით და ალფა — ნაწილაკები (ჰელიუმის ატომგულები) 840 მილიონი ელექტრონვოლტი ენერგიით.

იძენენ რა მაქსიმალურ სიჩქარეს, ნაწილაკები მიადგებიან კამერის შიგნით მოთავსებულ მოწყობილობას, რომელიც უზრუნველყოფს მათ გამოშვებას გარეთ. აქვე მოთავსებულია სამიზნო, რომელსაც კოლესალური სიჩქარით ეხეთქებიან დამუხტული ნაწილაკები. ამის შედეგად სამიზნოდან გამოიტყორცნებიან ნეიტრონები, მეზონები და გამა-სხივები. სამიზნის დაბომბვა იწვევს იმას, რომ მისი ატომგულები ირღვევიან და წარმოშობენ სხვა ელემენტების ატომგულებს. ამ პრინციპის გამოყენებით შეიძლება ერთი ქიმიური ელემენტი გადავაქციოთ მეორე ელემენტად. მაგალითად, ბისმუთიდან შეგვიძლია მივიღოთ ოქრო და პლატინა.

დამჩქარებლებზე ამგვარი ექსპერიმენტების მეოხებით დ. ი. მენდელეევის ცხრილში ჩნდება სულ ახალი და ახალი, წინათ ბუნებაში უცნობი ელემენტები. ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ დამთავრდა ჟენევაში, გამოცხადდა, რომ აღმოჩენილია დ. ი. მენდელეევის ცხრილის 99-ე, მე-100 და 101-ე ელემენტები, რომლებსაც გამოჩენილ მეცნიერთა პატივსაცემად ეწოდათ ფერმიუმი, აინშტაინიუმი და მენდელეევიუმი.

დამჩქარებლიდან ნაწილაკები მოხვდებიან ბეტონის საცავ კედელში დატანებული მძიმე ფოლადის ფილების (კოლიმატორების) სპეციალურ ნახვრეტებში და ვიწრო კონების სახით გადიან ლაბორატორიაში, რომელიც ამ კედელს იქით არის მოთავსებული.

უახლესი ტექნიკა მკვლევართა ხელში

ინსტიტუტის თანამშრომლები გვიჩვენებენ ამ ლაბორატორიას.

მაღალი დარბაზი, რომელიც მზის სხივები ვერ აღწევს, გაშუქებულია მძლავრი ელექტრონათურების სინათლით. კოლიმატორებიდან გამომავალი პროტონების, ნეიტრონების და პი-მეზონების კონების გზებზე დაინახავთ სხვადასხვა ფორმის, სიდიდის და დანიშნულების მრავალ ხელსაწყოს. ესენია უზუსტესი საკვლევი იარაღები, რომელთა შექმნას დასჭირდა ფიზიკოსების, ინჟინრების, კონსტრუქტორებისა და ლაბორანტების გაერთიანებული ღონისძიებები. აი ეგრეთწოდებული სასცინტილაციო მრიცხველების და შტოსებრი გამოსხივების მრიცხველების ტელესკოპები. მათი საშუალებით თვალყურს ადევნებენ ნუკლონების მიერ ნუკლონებისა და მეზონების გაფანტვის პროცესებს და სწავლობენ მათ ურთიერთმოქმედებას ატომგულებთან. კრისტალებსა და სითხეებში, სინათლის ხამოკლე გამოკრთომა, რასაც ცალკეული ნაწილაკები იწვევენ, ანიბეჭდება ფოტოელექტრონულ გამამრავლებელთა და რთულ რადიოტექნიკურ მოწყობილობათა დახმარებით.

აი ხელსაწყო, რომლითაც სწავლობენ გამასხივებების სპექტრებს, რომლებიც წარმოიშობიან სწრაფი ნეიტრალური პი-მეზონების დაშლისას. ნუკლონებთან და რთულ ატომგულებთან ნუკლონებისა პი-მეზონების ურთიერთმოქმედების ელემენტარულ აქტებს აკვირდებიან სპელეტნიანი ფოტოემულსიების, ვილსონის კამერების, დიფუზიური და სითხის კამერების შემწეობით.

ჩვენ გვიჩვენებენ სურათს, სადაც აღბეჭდილია მიკროსკოპით გადიდებული კვალი, რომელიც ფოტოფირფიტის ემულსიაში დატოვებია აჩქარებულ პროტონს. ჩანს როგორ გადაუსვრიან სურათის მარცხნივ ნაწილი თხელ პუნქტირებიან ხაზს. აქვე შეამჩნევთ ემულსიის შემადგენლობაში შემავალი ვერცხლის ატომგულის ნამსხვრევების კვალსაც. ატომგული დამსხვრეულია, და მისი ნამსხვრევების რიცხვში ფიქსირებულია პროტონები, ალფა-ნაწილაკები და ლითიუმის ატომგული. განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებით შეიძლება განისაზღვროს იმ ნაწილაკების ენერგია, მასა და მუხტი, რომლებმაც ემულსიის გაშავება გამოიწვიეს, შეიძლება მეცნიერული დასკვნების გამოტანა.

— როგორ ხორციელდება სინქროციკლოტრონის მართვა?

ამ კითხვაზე რომ პასუხი მივიღოთ, მთავარი ინჟინერი გვიწვევს ენერგეტიკულ კოლოფსში. დიდ ნათელ ოთახში დადგმულია მთავარი სამართავი პულტი. მასზე მოთავსებულია დამჩქარებლის საკონტროლო და სამართავი მრავალი ხელსაწყო. სასინათლო ტაბლოზე მწვანე, ყვითელი და წითელი შუქი კრთის. ეს არის სიგნალები, თუ როგორ მუშაობენ მაგნიტი, ვაკუუმტუმბოები, ვარიატორი, მაღალი სიხშირის გენერატორი, გაცივების, ვენტილაციის სისტემები, ელექტროქვესადგურები...

მორიგე ინჟინერი აქედან ახორციელებს სინქროციკლოტრონის ყველა აგრეგატის დისტანციურ მართვას. რეგულატორების საჭელურის მობრუნებით იგი აწესებს ყველა აგრეგატის მუშაობის საჭირო რეჟიმს.

სინქროციკლოტრონი მატერიალური სამყაროს შეცნობის მძლავრი იარაღია.

ემყარებიან რა ბუნების განვითარების ობიექტურ კანონებს, ხელმძღვანელობენ რა დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდით, საბჭოთა ფიზიკოსები სულ უფრო ღრმად და ღრმად წვდებიან ატომის საიდუმლოებას.

საბჭოთა მეცნიერებმა, რომლებიც მუშაობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის პრობლემების ინსტიტუტის სინქროციკლოტრონზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ატომგულის ძალების პრობლემის შესწავლაში.

— აქ, — გვეუბნებიან ჩვენ, — მოღებულია ახალი მნიშვნელოვანი მონაცემები პროტონების მიერ პროტონების გაფანტვის ხასიათის შესახებ და პირველად შესწავლილია ნეიტრონების მიერ ნეიტრონების გაფანტვა მაღალი ენერგიების დროს. დადგენილ იქნა, რომ პროტონების პროტონებთან შეჯახების ასი შემთხვევიდან დაახლოებით ორმოცდაათ შემთხვევაში წარმოიშობა მეზონები. ამ გამოკვლევათა შედეგების და ამერიკელი ფიზიკოსების მიერ შესრულებული ცდების მონაცემების ერთობლივობამ შესაძლებელი გახადა ახალი ცნობების მიღება პროტონის რადიუსის სიღიდის შესახებ. აღმოჩნდა, რომ პროტონი წარმოადგენს რთულ სისტემას, რომლის ცენტრში მოთავსებულია მეტად მკვრივი გული, რომლის ოდენობა სამჯერ უფრო ნაკლებია იმ სიდიდეზე, რაც წინათ პროტონის რადიუსად იყო მიჩნეული. ინსტიტუტში აგრეთვე მიღებულია ახალი ცნობები პროტონებთან ნეიტრონების ურთიერთმოქმედების შესახებ, დაგროვებულია დიდი ექსპერიმენტალური მასალა, დაკავშირებული ნუკლონებთან და ატომგულებთან პი-მეზონების ურთიერთზემოქმედების გამოკვლევებთან. აქ პირველად იქნა აღმოჩენილი პი-მეზონების მიერ ატომგულების გაყოფის მოვლენა. ცდით მიღებული ყველა ეს ფაქტი დიდ ღირებულებას წარმოადგენს ატომგულის ზუსტი თეორიის ასაგებად.

მეცნიერთა გამოკვლევებს შემდგომი გაკაფნება ეძლევა. ჩვენს ქვეყანაში შენდება დამუხტული ნაწილაკების კიდევ უფრო მძლავრი დამჩქარებელი — სინქროფაზოტრონი, რომლითაც ნავარაუდევია 10 მილიარდი ელექტრონვოლტი ენერგიის მიღება.

ინსტიტუტის ნაშრომები, დაკავშირებული უმცირესი ნაწილაკების შესწავლასთან, ბრწყინვალედ ადასტურებს მარქსისტულ-ლენინურ დებულებას მატერიის უსასრულობის შესახებ.

ჩვენი ფიზიკოსების კვლევას ჭეშტატი ხასიათი რიდი აქვს. მათი დანიშნულებაა კაცობრიობის სამსახურში ჩააყენონ ბუნების მძლავრი ძალები, თავიანთი შრომებით ხელი შეუწყონ ხალხთა ბედნიერ მომავალს. მშვიდობისა და პროგრესისათვის სასახელო

მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობას

ხელიდან უშვებენ საუკეთესო დროს

წელს თივის კარგი მოსავალია თეთრი წყაროს რაიონში. მოწინავე კოლმეურნეობები კარგად იყენებენ მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ყველა რეზერვს. კოდის კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა უხეში საკვების დაგროვების დავალება, შექმნა ისეთი მარაგი, რაც ორი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს საზოგადოებრივ პირუტყვს.

სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ახლაც ნახავთ შარშანდელი თივის დიდ ზვინებს, მიუხედავად ამისა, კოლმეურნეები ყოველ ლონისძიებით ცდილობენ მოიმარაგონ რაც შეიძლება მეტი საკვები. გეგმით გათვალისწინებული 2.000 ცენტნერის ნაცვლად აქ უკვე დააგროვეს და დაზვინეს 3.000 ცენტნერი თივა, დიდძალი ნამჯა.

მაგრამ მთელი რიგი კოლმეურნეობები საკვების დაგროვების, დაზვინვის, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობისა და დასილოსების საქმეში ჩამორჩებიან.

სოფელ შავსაყდრის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში ხელიდან გაუშვეს საკვების დაგროვების საუკეთესო პერიოდი, რის გამო შარშანდელზე გაცილებით ნაკლები თივა და ნამჯა დაამზადეს. უფრო მეტიც. აქ საკვების ისედაც შეზღუდული მარაგის დაცვასა და შენახვას ყურადღებას არ აქცევენ. არაწესიერად დადგმული ზვინები წვიმისაგან დაზიანებულია.

დიდი ხანია მიმდინარეობს თიბვა სოფელ ხოპისის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. მიუხედავად ამისა, აქ თიბვის დავალება 60 პროცენტითაც არა აქვთ შესრულებული. ამ მხრივ ჩამორჩებიან ტბისის კოლმეურნეობა „წინსვლა“, ძველი მანგლისის კალინინის სახელობის, დიდი თონეთისა და სხვა კოლმეურნეობები.

თეთრი წყაროდან შვიდიოდე კილომეტრზე, მთავარი გზის ორივე მხარეს მინდვრად გაფანტულია სოფელ ჩხიკვთის კოლმეურნეობის ნამჯა, მაგრამ ეს მდგომარეობა არ აელევებს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას. მსგავსი მდგომარეობაა ჯიგრაშენის კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ჯეროვნად არ აფასებენ საკვები რესურსების შევსების ისეთ მნიშვნელოვან წყაროს, როგორიც არის ნამჯა. ასე იქცევა რაიონის ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობაც. ამან გამოიწვია დაზვინვის დიდი ჩამორჩენა.

რაიონში წელს უნდა დასილოსონ 20 ათასი ტონა საკვები. აღნიშნული დავალების შესრულების მიზნით უნდა აშენდეს 7.300 ტონა ტევადობის ახალი სასილოსე ნაგებობანი. მშენებლობის დამთავრების დაწესებული ვადის გასვლის მიუხედავად ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელია. აშენებულია მარტო 4.050 ტონა ტევადობის ნაგებობანი, მშენებლობის პროცესშია 1.807 ტონა ტევადობის, ხოლო სრულიად არ დაუწყიათ 1.443 ტონა ტევადობის ნაგებობათა მშენებლობა.

22 ივნისს პარტიის რაიკომის ბიუროს თქმით, ეს ამოცანა ადვილად ამოქმედებელია. ამ მიზნით ბიურომ ამ საკითხზე იმსჯელეს 6 ივლისს, 3 აგვისტოს და ბოლოს 12 აგვისტოს. დასახული იქნა სათანადო ღონისძიებანი. მაგრამ იმის გამო, რომ შემდგომში ეს დადგენილებანი არ გატარებულა ცხოვრებაში, ანუ ეს ამოცანა ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით, ბევრგან ძვრა არ მომხდარა, ან ძალიან ცოტა რამ გაკეთდა. სასილოსტრაციოდ მოვიყვანთ სოფელ სამღერეთის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ლ. გასპარიანი) მაგალითს. პარტიის რაიკომის ბიუროს 22 ივნისის დადგენილებაში აღნიშნული იყო სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში ამ კოლმეურნეობის ჩამორჩენა — აკლდა 150 ტონა ტევადობის ნაგებობანი, მაგრამ გასული ორი თვის მანძილზე აქ შეძლეს მხოლოდ ამოეთხარათ რამდენიმე მეტრი სიღრმის სამი ორმო, რასაც მარტო 36 კაც-დღე დასჭირდა.

სოფელ ფარცხისის კოლმეურნეობაში დიდი ხანია დაიწყეს ახალი ტრანშეის მშენებლობა, მაგრამ დღემდე მხოლოდ გვერდითი კედლების ამოყვანა მოახერხეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. სარიშვილი აცხადებს, რომ ჯერ ამ საქმისათვის არა სცალია, სანამ უფრო გადაუდებელ სამუშაოს — ლეწვას არ დაამთავრებს.

სასილოსე მშენებლობათა გაჭიანურებაში არანაკლები ბრალი მიუძღვის ცეკავშირს, რომელმაც გათვალისწინებული 900 ტონიდან რაიონში ჯერჯერობით მხოლოდ 600 ტონა ცემენტი შეიტანა და ისიც უკანასკნელ ხანს.

ძალიან სუსტად მუშაობენ რაისაბჭოს აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილება და მისი გამგე ამხ. ა. ბალიაშვილი. ეს უკანასკნელი იშვიათად იმყოფება კოლმეურნეობებში, არ უწევს მათ კვალიფიციურ დახმარებას, ვერ იცნობს ადგილებზე არსებულ მდგომარეობას.

საგულისხმო და თავისებურია ამ საქმისადმი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიცია. იგი სისტემატურად მოითხოვს ცნობებს მტს-ებიდან სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დავალების შესრულების შესახებ, მაგრამ არ უფიქრია იმაზე, რომ მექანიზატორებისათვის გაეგზავნა საჭირო მექანიზმები. ერთადერთი ექსკავატორი, რომელიც ასურეთის მტს-ს აქვს, საქმეს არ შველის. უფრო მეტიც. მხედველობაში რომ არ მივიღოთ სასილოსე მასის დაკუწვის სამუშაოები, მტს-ების მექანიზატორები საკვების დამზადებისა და მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში „ჩაურევლობის“ პოზიციაზე დგანან.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უფრო კონკრეტულად, კვალიფიციურად უნდა ეხმარებოდნენ მტს-ებსა და კოლმეურნეობებს მშენებლობისა და მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში.

გ. ზუკაკიშვილი,
რ. დავითური.

შეფების დახმარებით

გორის რაიონის მშრომელები დიდ ყურადღებას აქცევენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას. რაიონში მზად არის 18.486 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18.000 ტონისა. გეგმის გადაჭარბებით შენდება 8.200 ტონის ტევადობის ნაგებობანი.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა კარგად მოაწყეს სოფლების ბერშუეთის, ზერტის, ზედდულეთის, მეჯვრისხევის, ხელთუბნის, ბერბუკის, კარალეთის, შინდისის, ვარიანის და სხვა კოლმეურნეობებმა. მათ ვადამდე დამთავრეს დიდი ტევადობის სასილოსე ორმოებისა და ტრანშეების მშენებლობა და ახლა წარმატებით ასილოსებენ მწვანე მასას.

საინტერესოა გორის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობების გამოცდილება სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის საქმეში. კოლმეურნეობებმა ძირითადად გამოიყენეს ადგილობრივი საშენი მასალები. გულმოდგინედ იმუშავეს კოლმეურნე კალატოზებმა, მშენებლობის საქმეში გამოცდილმა ადამიანებმა. მაგრამ ყველა კოლმეურნეობას როდი ეყო საკუთარი ძალები სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის წარმატებით ჩატარებისათვის. აი სწორედ აქ მოსაშველებლად მივიდნენ სამრეწველო საწარმოები. ესენი არიან გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობის ტრესტი და ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო მშენებლობის თბილისის კანტორა. ამ საწარმოებმა თავიანთ საშეფო კოლმეურნეობებს დიდი დახმარება გაუწიეს როგორც საშენი მასალებით, ისე მშენებელი ბრიგადებით.

გორის ბამბეულის კომბინატის სამშენებლო ტრესტის უშუალო დახმარებით ააშენეს სასილოსე ნაგებობანი სოფლების ბერბუკის, ხელთუბნის, შავშვების, ნადარბაზევის და სხვა კოლმეურნეობებმა.

სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ქალაქელი შეფების დახმარებით არა მარტო სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა დამთავრა წარმატებით, არამედ საუკეთესოდ დააყენა მეცხოველეობის ფერმებისათვის სხვადასხვა დამხმარე ნაგებობათა მშენებლობაც. მეძროხეობის მექანიზებული ფერმის გარშემო უნდა ააგონ კაპიტალური სადგომები ყველა ფერმისათვის, მეცხოველთა კარგად მოწყობილი ბინები, ბიბლიოთეკა და სხვა. მალე ეს ადგილი მეცხოველთა დაბად გადაიქცევა.

ცხადია, გადიდება წველადობა იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც ამთავითვე უყრიან საფუძველს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამისათვის ზრუნავენ დღეს ბერბუკსა და შავშვებში. ზერტსა და ზედდულეთში, ვარიანსა და ფლავში. ზერტელელ მეცხოველეებს დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადა, რომელსაც ი. მირაზანაშვილი ხელმძღვანელობს. კალატოზები ვ. ტაველიძე, ა. მაზანაშვილი, კოლმეურნეები ტ. მიჩიტაშვილი, ს. ტერუნაშვილი, მ. თოდაძე, და გ. ცარიელაშვილი, რომლებიც სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაზე მუშაობდნენ, დავალებებს 125-135 პროცენტით ასრულებდნენ. ავტომძღოლები გ. ცარიელაშვილი, პ. მუნჯიშვილი და გ. თოდაძე საქმის სიყვარულით, შეუფერხებლად ეზიდებოდნენ სასილოსე ნაგებობებისათვის საჭირო საშენ მასალებს.

გორის რაიონის კოლმეურნეობებს ყველა საშუალება აქვთ მკვეთრად აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ეს კი უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული, თუ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები როგორ უხელმძღვანელებენ პირუტყვის საკვების დასილოსებას.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ერთი დაუმთავრებელი მშენებლობის ისტორია

ზურნის ხმამ და ღამენათევი სტუმრების ყიჟინამ გამოაფხიზლა ზაფხულის ერთ დილას შუაგული ავლაბარი.

ხარობდა ვართან ამირგულოვი, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდა მოწინავე ხარატი. პირველი შვილის ევგენიას დაბადებას ზეიმობდა. სხვაც ჰქონდა ამირგულოვს სამხიარულო, მალე ახალ ბინას მიიღებდა: სწორედ მისი ერთადერთი ოთახის წინ (შაუმიანის ქ. № 12) ძველი ქოხმახების ადგილზე ქარხნის ახალ საცხოვრებელ სახლს ჩაუყარეს საძირკველი. შექეიფიანებული სტუმრები ვერცხლის უზალთუნებს ისროდნენ საძირკვლისათვის გათხრილ მიწაში. გათვალისწინებული იყო ხუთსართულიანი 40-ბინიანი შენობის აგება.

... სიყვარულით შესცქეროდა მამა, თუ როგორ იზრდებოდა მისი გოგონა და... სახლის კედლები. მარტო ვართანს როდი ახარებდა ეს მშენებლობა, ახლომახლო მცხოვრებლები მოუთმენლად ელოდნენ ახალი, ლამაზი სახლის დამთავრებას თავიანთ უბანში.

იზრდებოდა ევგენია. სამი ძმაც წამოეზარდა.

მშენებლობა კი ერთ წერტილზე გაიყინა. მერე სამამულო ომმაც მოუსწრო და შენობის აგება დააკონსერვეს. როგორც კი გადაიქუხეს ქვემეხებმა, მაშინვე განახლდა, მაგრამ მშენებლობა კი არა — მიმოწერა (რომელიც ახლა ქარხანაში მრავალნიშნიანი ციფრით არის დანომრილი და რამდენიმე გასიებულ პაპკაში ძლივს ეტევა) მშენებლობის განახლების შესახებ. ქარხნის ხელმძღვანელობა წერდა ყველგან — სამინისტროში, პროფკავშირებში; თბილისშიც, მოსკოვშიც, სადაც ხელი მიუწვდებოდა გზავნიდა წერილებს, დეპეშებს, მიმართვებს. ბოლოს ფოტოსურათებიც გაგზავნეს, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა მიეცათ მშენებლობის მდგომარეობაზე.

ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ. შეიცვალნენ ქარხნის ხელმძღვანელები. შეიცვალა სამინისტრო, რომელსაც ეკუთვნოდა ქარხანა, შეიცვალნენ მინისტრები, დიდი ცვლილებები მოხდა თვით მშენებლობაზე: წვიმამ და ქარმა თავისი გაიტანა, დალპა ხის ნაწილები, დაინგრა, დაზიანდა კედლები. მიმოწერა კი გრძელდებოდა.

ბოლოს, 1950 წლისათვის, მიღწეულ იქნა ერთგვარი პროგრესი — ქარხანას სამინისტროში შეჰპირდნენ თანხების გამოყოფას, მაგრამ მთელი საქმე იმით ამოიწურა, რომ საფუძვლიანად გადაკეთდა სახლის პროექტი, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში ბევრი ცვლილებები მოხდა სამშენებლო საქმეში.

წლების მანძილზე გაჭიანურებული მიმოწერა შენელდა, 1952 წელს, როგორც იქნა, სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ გაიღო მცირე თანხა მშენებლობის გასაგრძელებლად. ამ თანხის ნაწილი — 37 ათასი მანეთი მარტო დამპალი ხე-ტყის, დაზიანებული კედლების, რკინაბეტონის დეფექტური გადახურვის აღდგენა-გადაკეთებას მოუნდა.

მომდევნო წელს მშენებლობამ საგრძნობლად წაიწია წინ, გამოყოფილ და ათვისებულ იქნა ნახევარი მილიონი მანეთი, მშენებლებმა მაშინ კარგად იმუშავეს.

1954 წელს სახლის მშენებლობა სამინისტრომ დაათინანსა 600 ათასი მანეთით, მაგრამ რადგანაც სამინისტროს სასურსათო მანქანების მთავარმა სამმართველომ (უფროსი ამხ. კრიკუნოვი), მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, არ უზრუნველყო მშენებლები ფონდირებული მასალებით, ამ თანხიდან აუთვისებელი დარჩა 145,5 ათასი მანეთი. სახსრების აუთვისებლობაში მცირე ბრალი როდი მიუძღვის სამშენებლო ორგანიზაციას — „საქსურსათმშენსაც“.

რადგანაც საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა, პირველი რიგის მშენებლობა ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მიუახლოვდა დასასრულს; მოსალოდნელი იყო, რომ სამინისტროს მთავარი სამმართველო 1955 წელს იმდენ სახსრებს მაინც გამოჰყოფდა, რამდენიც პირველი რიგის მშენებლობისათვის — 20 ბინის დამთავრებისათვის ეყოფოდათ. სამწუხაროდ, გაუგებარი მიზეზების გამო, მთავარმა სამმართველომ სულაც არ გაუწია ანგარიში თბილისელ მანქანათმშენებლებს და ერთი კაპეიკიც არ გაუთვალისწინებია მშენებლობისათვის.

დადგა მეორე კონსერვაციის პერიოდი. მშენებლებმა დაუფინანსებლობის გამო მუშაობა შეწყვიტეს, დაშალეს და წაიღეს სამშენებლო მექანიზმები. სახლის მშენებლობაზე მილიონ 359 ათასი მანეთი დაიხარჯა, რეალური კი ჯერ არაფერი ჩანდა.

კვლავ დაიწყო გაცხოველებული მიმოწერა. ქარხნის ხელმძღვანელობა განგაშს სტეხდა, მიმართავს მიმართვაზე აგზავნიდა, თითქმის დამთავრებამდე მიყვანილი პირველი რიგის მშენებლობისათვის მოითხოვდა სახსრებს.

დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, აპრილის ბოლოს მთავარმა სამმართველომ გამოყო 100 ათასი მანეთი. მაგრამ ახლა მშენებლობას გზაზე გადაეღობა თვით სამშენებლო ტრესტის მმართველი ამხ. კ. მორეტი,—თანხა მცირეა, არ ღირს მუშაობის გაშლაო. ეს თანხა, რა თქმა უნდა, არ იძლეოდა ფართო ფრონტით მუშაობის გაჩაღების საშუალებას, მაგრამ ფერხდებოდა ისედაც გაჭიანურებული მშენებლობა. მორეტს არწმუნებდნენ, რომ დამატებით კიდევ იქნებოდა გამოყოფილი სახსრები, მაგრამ იგი მშენებლობაზე მუშაობის განახლებას აგვისტომდე არ შეუდგა.

დანაშაული მიუძღვის მთავარ სამმართველოს, რომელმაც მხოლოდ ივნისის უკანასკნელ რიცხვებში გამოყო კიდევ 400 ათასი მანეთი და ამით მშენებლებს ფაქტიურად დააკარგვინა წლის პირველ ნახევარში მუშაობის შესაძლებლობა.

პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებამდე წინ კიდევ მნიშვნელოვანი სამუშაოებია: შიგა შელესვა, პარკეტის დაგება, კარ-ფანჯრის დამზადება და გამართვა, შეღებვა, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობათა მონტაჟი, ელექტროგაყვანილობა, გათბობა და აგრეთვე სხვა წვრილმანი სამუშაო. ამჟამად მშენებლები უზრუნველყოფილი არიან მასალებით. ახლა ჯერი მათზეა.

* * *

ტყუილად როდი აღნიშნა ზეიმით ვართანამ პირველი შვილის დაბადება. შვილმა გაამართლა მშობლების იმედები, გაახარა მათი გული. ყური დაუგდოთ რას ამბობს ამირგულოვი. ბას ამ ქარხანაში მუშაობის 25 წლისთავი უსრულდება, თმები შეევერცხლა.

— ჩემი გოგონა, რომ დაიბადა, — თქვა მან სხვათაშორის ამასწინათ პარტიულ კრებაზე, რომელსაც იმ დროს თბილისში ჩამოსული კრიკუნოვიც ესწრებოდა, — მაშინ დაიწყო სახლის მშენებლობა. ევგენიამ წელს მეთერთმეტე კლასი მედლით დამთავრა, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, მშენებლობა კი ჯერაც დაუმთავრებელია.

ს. ხარაზიშვილი,
გ. ოქრუაშვილი.



ასე გამოიყურება ხ. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საცხოვრებელი სახლი შაუმიანის ქუჩაზე მშენებლობის მეთვრამეტე წელს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის

ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში ჩვენს ერამდე პირველად იქნა აღწერილი დაავადება, რომელიც შეშაფუთებელი ტკივილებით და კუჭ-ნაწლავის მწვავე აშლილობით იწყებოდა, მკვეთრად აზიანებდა ნერვულ სისტემას და ზოგჯერ მოწამვლის საერთო ნიშნებს იძლეოდა. დაავადება სწრაფად ვრცელდებოდა და დიდ სიკვდილიანობასაც იწვევდა. ამ დაავადებას 2.400 წლის წინათ ძველი საბერძნეთის გამოჩენილმა ექიმმა ჰიპოკრატემ, უმტკივნეულოდ მიმდინარე ნაწლავთა სხვა სახის დაავადებებისაგან განსხვავებით, დიზენტერია უწოდა (წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან: დიზ, ნიშნავს დაავადებას — ავადმყოფობას, ენტერონ — ნაწლავს).

ცნობილია დიზენტერიის ორი ფორმა: ამებური ანუ ტროპიკული, რომელსაც იწვევს დიზენტერიული ამება და გავრცელებულია განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში, და ბაცილური, რომელსაც იწვევენ დიზენტერიული ბაცილები, ანუ ჩხირისმაგვარი თვალით უხილავი მიკროორგანიზმები.

დიდი ხნის განმავლობაში დიზენტერიის გამომწვევი მიზეზები და გავრცელების გზები უცნობი იყო. ადამიანი დიდხანს უძლური იყო ამ დაავადების მიმართ.

დიზენტერიის კლინიკური მიმდინარეობის, მკურნალობისა და მისი გავრცელების გზების ღრმა მეცნიერული შესწავლა დაიწყო ამ დაავადების გამომწვევი მიზეზის აღმოჩენის შემდეგ, XIX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან. ბაცილური დიზენტერიის გამომწვევი მიზეზი პირველად 1891 წელს რუსმა მეცნიერმა გრიგორიევმა აღმოაჩინა (იგივე მიკრობი 8 წლის შემდეგ აღმოჩენილ იქნა იაპონელი მეცნიერის შიგას მიერ).

დიზენტერიის გამომწვევი მიზეზის აღმოჩენის შემდეგ ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ბაჭერიოლოგმა როზენტალმა 1905 წელს დაამტკიცა, რომ დიზენტერიის ჩხირი ორგანიზმში შეჭრის შემდეგ გამოჰყოფს შხამს, რომელიც აზიანებს განსაკუთრებით ნერვულ სისტემას და იწვევს ორგანიზმის საერთო მოწამვლას. ამ აღმოჩენით საფუძველი ჩაეყარა დიზენტერიული დაავადების პროცესის განვითარების შესწავლას.

დიზენტერიის გამომწვევი ჩხირები მრავლდებიან და ვითარდებიან მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში, ამიტომ ავადმყოფობის გავრცელების ერთადერთი წყარო ანუ ინფექციის რეზერვუარი დიზენტერიით დაავადებული ადამიანია, რომელიც ფეკალურ მასაში გამოჰყოფს დიზენტერიის ჩხირებს (1 გრამი მასა დაახლოებით 200-300 მილიონამდე დიზენტერიის ბაცილას შეიცავს). დიზენტერიის ჩხირების აქტიური გამავრცელებელია ბუზიც.

ადამიანის ორგანიზმში დიზენტერიის ჩხირები პირის ღრუდან შეიჭრებიან ხოლმე, წვრილ ნაწლავებში გადასვლისთანავე იწყებენ გამრავლებას და სახლდებიან მსხვილ ნაწლავებში. ნაწილი კი იღუპება და თავისუფლდება მიკრობის სხეულთან შეკავშირებული შხამი, რომელიც სისხლში გადადის და ორგანიზმს წამლავს. ცოცხალი მიკრობებიც გამოჰყოფენ ეგრეთწოდებულ ხსნადს ანუ ეგზოტოქსინს, რომელიც აგრეთვე სისხლში გადადის და იწვევს ორგანიზმის საერთო მოწამვლას. ორგანიზმის მოწამვლის შედეგად ვითარდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ჟანგვითი პროცესების დაქვეითება, ნერვული სისტემის, კერძოდ თავის ტვინის ქერქის მკვეთრი დაზიანება, სითბოს რეგულაციის მოშლა. სხეულის ტემპერატურა ნორმაზე ქვემოთ ჩამოდის. ნერვული სისტემის მძიმე დაზიანების შემთხვევაში მუცლის ღრუში შეიძლება განვითარდეს სისხლის მიმოქცევის მკვეთრი მოშლილობა, პერიფერიული სისხლის ძარღვების სპაზმი (შეკუმშვა). ნერვული სისტემის დაზიანების ხარისხის შესაბამისად ცვლილებებს განიცდის აგრეთვე წამყვანი ორგანოები და სეკრეტორული სისტემა, გულის კუნთი, ღვიძლი, კუჭქვეშა ჯირკვალი, თირკმელზედა ჯირკვალი და სხვ.

არჩევენ ბაცილური დიზენტერიის მწვავე და ქრონიკულ ფორმებს. მწვავე ფორმები დაავადების პროცესის განვითარებისა და დასაწყისი ნიშნების მიხედვით შეიძლება იყოს მძიმე და მსუბუქი. მსუბუქი ფორმის დიზენტერიის მწვავე პერიოდი საშუალოდ გრძელდება 7-10 დღემდე, მძიმე ფორმების დროს კი — 21-30 დღემდე.

ქრონიკული დიზენტერია შეიძლება იყოს გახანგრძლივებული და რეციდივული ხასიათისა. ორივე ამ ფორმის განვითარებას ხელს უწყობს კვების რეჟიმის უხეში დარღვევა, სამკურნალო ნივთიერებათა გამოყენების მეთოდების არასწორი დაცვა, კურსობრივი მკურნალობისა და დოზირების ჩაშლა, მოჩვენებითი გაუმჯობესებისა ან განკურნებისთანავე მკურნალობის შეწყვეტა, ფიზიკური გადაღლა, ორგანიზმის გადახურვება, ნერვო-ფსიქიკური ზემოქმედება, ავიტამინოზი, ქრონიკულად მიმდინარე ავადმყოფობანი (მალარია, ტუბერკულოზი), ზოგიერთი ინფექციური სნეულებანი (წითელა, გრიპი) და სხვ.

დიზენტერია განსაკუთრებით საშიშია ჩვილი ბავშვებისათვის. ბავშვის ორგანიზმი სამი წლის ასაკამდე ადვილად ავადდება და დაავადებაც მძიმედ მიმდინარეობს, რაც იმით აიხსნება, რომ ჩვილ ბავშვთა ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა და ნერვული სისტემის განვითარება არამტკიცე საფუძველზე დგას, მისი ნაწლავები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განვითარებული, სწრაფი და გაძლიერებული ზრდა-განვითარების გამო ნაწლავის დამცველობითი ფუნქცია სუსტია, სუსტია ნაწლავის ლორწოვანი გარსიც. სუსტად განვითარებულ ლორწოვან გარსს კი არ შეუძლია დიზენტერიის ჩხირის შეჭრაზე სრული შეკავებითი და დამცველობითი რეაქციით უპასუხოს. ამით აიხსნება ის მდგომარეობაც, რომ ჩვილი ბავშვის ნაწლავის ლორწოვან გარსში ხშირად არ ვითარდება ქსოვილის ღრმა დაზიანებანი, არ წარმოიშობა დიზენტერიისათვის დამახასიათებელი ნადებები და წყლულები, ზოგჯერ ნაწლავის შიგთავსის გამონაყოფშიც ჩირქი და ლორწო ძლიერ მცირე რაოდენობით არის. სისხლი კი ზოგჯერ სრულებით არ გამოიყოფა. ამიტომ მშობლები და ხშირად ექიმებიც კი ცდებიან: ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ნაწლავების მწვავე ან შედარებით მსუბუქ აშლილობას იწვევს რაიმე სხვა მიზეზები, მაგალითად, გაციება, კბილების ამოსვლა და სხვა მარტივი მიზეზები. ასეთი არასწორი დასკვნები აგვიანებს აქტიური სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და საჭირო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას.

როგორც ცნობილია, ყველა ინფექციურ სნეულებას, ავადმყოფური მოვლენების აშკარა გამოვლინებამდე, დაავადების განვითარების ფარული ხანა აქვს. დიზენტერიასაც აქვს განვითარების ფარული ხანა ანუ ინკუბაციური პერიოდი, რომელიც დაახლოებით ერთიდან შვიდ დღემდე გრძელდება. ფარული პერიოდის შემდეგ დაავადების ადგილობრივი ნიშნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: დაავადება ტიპიურ შემთხვევებში იწყება ნაწლავთა მწვავე აშლილობით, ხშირი გარეთ გასვლა (დღე-ღამეში 10-20-30 და მეტიც), ზოგჯერ ნაწლავიდან გამოყოფილი შიგთავსი შედგება ლორწოსა, ჩირქისა და სისხლისაგან და სრულიად არ შეიცავს ფეკალურ მასას. ეს ნიშნები მოწმობენ ნაწლავის ნერვების მძიმე დაზიანებას. ადგილობრივ მოვლენებს საერთოდ, განსაკუთრებით კი ჩვილ ბავშვებში, თან ერთვის დაავადების ზოგადი ხასიათის ნიშნები: მაღალი სიცხე, ხშირი და შეუჩერებელი პირისღებინება, სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვა, ფერმკრთალობა, ზოგადი სილუარჯე, უმადობა, მოდუნება, გრძნობიერების დაკარგვა, კრუნჩხვები, სუნთქვისა და მაჯისცემის გახშირება და შესუსტება, კანის და ლორწოვანი გარსების (თვალის, ცხვირის, ტუჩების, პირის ღრუს, ენის) სიმშრალე, თვალების და ლოყების ჩავარდნა, ცხვირის გამახვილება, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის განლევა და წონაში სწრაფი დაკლება.

დიზენტერია მხოლოდ ნაწლავთა დაავადება კი არ არის, როგორც ამას წინათ შეცდომით ფიქრობდნენ, არამედ ზოგადი, მძიმე ინფექციური დაავადებაა. რაც უფრო ძლიერია დიზენტერიის შხამი და სუსტია ორგანიზმის თვითდაცვითი ფუნქცია, მით უფრო მკაფიოდ არის გამოხატული დაავადების ზოგადი მოვლენები და პირიქით. დიზენტერიული დაავადების ტიპიურ ფორმებთან ერთად ხშირად გვხვდება გარდამავალი ფორმები — სრულიად უმნიშვნელო ზოგადი და ადგილობრივი ნიშნებიდან დაწყებული, ძალიან მძიმედ გამოხატულ მოვლენებამდე. ზოგჯერ, განსაკუთრებით მოზრდილ ბავშვებში და სრულწლოვან ასაკში ტიპიურად მიმდინარე დიზენტერიისათვის დამახასიათებელი ნიშნები სუსტად არის გამოხატული და ხშირად ყურადღებასაც კი არ იქცევს. უნდა გვახსოვდეს, რომ დიზენტერიით ავადდება ადამიანი ყველა ასაკში, მაგრამ სიკვდილიანობის დიდ პროცენტს ის იძლევა ჩვილ ბავშვთა ასაკში, განსაკუთრებით სიცოცხლის პირველი დღეებიდან ერთი წლის ასაკამდე. ამიტომ ყოველგვარი, მცირედ გამოხატული ნიშნებიც კი (ბავშვის ხალისიანი განწყობილების შეცვლა შედარებით მოწყენილობით, არამაღალი სიცხე, უმადობა, ფერმკრთალობა, მოდუნება, საერთო სისუსტე, წონაში უმნიშვნელო დაკლება ან წონაში მატების შეწყვეტა) მშობელს ავალებს სწრაფად და გადაუდებლად მიმართოს ექიმს.

დიზენტერიით ბავშვთა დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მტკიცედ დავიცვათ სისუფთავე. დედა ბავშვის კვების წინ უნდა იბანდეს ხელებს და სარძეო ჯირკვლებს, ხშირად იცვლიდეს საცვლებს, განსაკუთრებით კი სამკერდეს, იცავდეს პროდუქტების მომზადებისა და შენახვის წესს, იცავდეს მათ ბუზებისა და მტვერისაგან. ბოსტნეული და ხილი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებლად საჭირო ვიტამინებს, გამოყენების წინ კარგად უნდა გაირეცხოს. სასმელი წყლის ონკანები სუფთად უნდა შევინახოთ. როგორც წესი, სასმელი წყალი უნდა ავიღოთ ონკანის გახსნიდან ½-1 წუთის შემდეგ.

უფრო რთულია ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვების მოვლა. ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვის დედა კარგად უნდა იცავდეს რძისა და სხვადასხვა საკვები ნარევების დამზადების წესებს. ხელოვნური საწოვრები გამოყენების წინ უნდა მოიხარშოს და შეინახოს ორგანიზმისათვის უვნებელ მსუბუქ სადეზინფექციო ხსნარებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივი ადგილების — კინოთეატრების, ფართო მოხმარების ტრანსპორტის, პროდუქტის მიმწოდებელი დაწესებულებების, გზების, ქუჩების, საპირფარეშოების, საბავშვო აუთხრების სისტემატურ ორგანიზებულ, კომპლექსურ დამუშავებას და მიმდინარე დეზინფექციის წარმოებას. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ დაავადების შემთხვევების დაფარვას და ფარულ ექიმობანას, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მარტო დაავადებული ადამიანის სიცოცხლეს, არამედ ირგვლივ მყოფ მოსახლეობასაც.

საექიმო პროფილაქტიკური ქსელის აქტივი ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული მოსახლეობის სანიტარული კულტურის ამაღლებისა და ქმედითი სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენის ორგანიზაციის საქმეში. ყველა საეჭვო შემთხვევაში, რა მსუბუქადაც უნდა მიმდინარეობდეს დაავადება, საჭიროა მიმართოთ ექიმის კონსულტაციას და შეგნებულ საექიმო სამედიცინო დახმარებას. ჯანმრთელობის დარგის ყველა მუშაკის ვალია თვალისჩინივით გაუფრთხილდეს ბავშვთა ჯანმრთელობას, მაღალ დონეზე დააყენონს ბავშვთა შორის დიზენტერიის საწინააღმდეგო კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება.

დროულად გამოვავლინოთ დაავადების შემთხვევები, სწორად გამოვიყენოთ დიაგნოსტიკის, მეთოდები, მოვახდინოთ ავადმყოფის ადრეული ჰოსპიტალიზაცია, დაუყოვნებლივ მოვაწყოთ დაავადების კერების სანიტარული დამუშავება. ყოველივე ეს დაგვეხმარება ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის და მკურნალობის რთული და საპატიო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში.

დ. იაშვილი,
ქ. თბილისის ბავშვთა პირველი ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

იუგოსლავიის ეკონომიურმა დელეგაციამ დაათვალიერა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომის ელექტროსადგური

საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური დელეგაცია საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მ. ადგილის ს. ვუკმანოვიჩ-ტემპოს მეთაურობით 29 აგვისტოს ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდა.

იმავე დღეს იუგოსლავმა სტუმრებმა დაათვალიერეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომის ელექტროსადგური. ეკონომიური დელეგაციის წევრებთან ერთად სადგურში იყო იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს სრულუფლებიანი მინისტრი დ. ჯურიჩი, რომელიც მეთაურობს სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების დასადებად მოსკოვში ჩამოსულ იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციას.

სადგურის დათვალიერებამდე დელეგაციის წევრებს აჩვენეს ფერადი დოკუმენტალური ფილმი „მსოფლიოში პირველი“, რომელიც მოგვითხრობს ატომის ელექტროსადგურზე. სადგურის მუშაობის გაცნობისას სტუმრები იყვნენ მთავარ დარბაზში, სადაც არის რეაქტორი, ტუმბოების დარბაზში, დაათვალიერეს ორთქლგენერატორები და ტურბინგენერატორები, მართვის ცენტრალური პულტი.

იუგოსლავ სტუმრებს წამოეჭრათ სადგურის მშენებლობასა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ბევრი კითხვა. მათ აინტერესებდათ, თუ როგორ ურანს იყენებენ აქ, რა ჯდება გამომუშავებული ელექტროენერგია, რა მეთოდები არსებობს სადგურის რადიაქტიური გამოსხივებისაგან მუშაკების დასაცავად, როგორ არის უზრუნველყოფილი მუშაობის უსაფრთხობა. ყველა ამ კითხვაზე საბჭოთა მეცნიერებმა ნ. ა. ნიკოლაევმა და ა. კ. კრასინმა ამომწურავი პასუხი გასცეს.

მეგობრულ გაცხოველებულ საუბარში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ინჟინერმა ი. გ. მოროზოვმა, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ყენევის საერთაშორისო კონფერენციიდან. იგი დიდი გულთბილოობით და პატივისცემით ლაპარაკობდა იუგოსლავ მეცნიერებზე, რომლებიც ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მუშაობენ და რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ კონფერენციაში. იუგოსლავმა სტუმრებმა და საბჭოთა სპეციალისტებმა ერთსულოვანი აზრი გამოთქვეს, რომ საბჭოთა და იუგოსლავ მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობა უნდა გაფართოვდეს და განმტკიცდეს.

შთაბეჭდილებათა წიგნში იუგოსლავიის ეკონომიური დელეგაციის მეთაურმა ს. ვუკმანოვიჩ-ტემპომ გააკეთა ჩანაწერი, რომელშიც ნათქვამია, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება უდიდეს შესაძლებლობას ქმნის საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებისათვის და სწორედ ამიტომ იუგოსლავიაში დიდ ყურადღებას აქცევენ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მუშაობის განვითარებას, რათა ეს ენერგია ხალხის სამსახურში ჩააყენონ.

ატომის ელექტროსადგურში გამგზავრების დროს იუგოსლავიის დელეგაციას თან ახლდნენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იუგოსლავიაში ი. ი. კრასიუკი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს პასუხისმგებელი თანამშრომლები მ. ა. სერგეიჩიკი და ვ. მ. დერეკვინი.

დელეგაციასთან ერთად ატომის ელექტროსადგურში იყო აგრეთვე იუგოსლავიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში დ. ვიდიჩი. (საკდესი).

იაპონიის პარლამენტის დელეგაციის წევრთა განცხადება

პეკინი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ პეკინში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც წერილობითი განცხადება გააკეთა საბჭოთა კავშირში მომავალი იაპონიის პარლამენტის დელეგაციის ორმა ლიდერმა ტოკუტარო კიტამურამ და მასარუ ნომიძემ.

ჩვენ, ნათქვამია განცხადებაში, ოფიციალურად მივემგზავრებით საბჭოთა კავშირში იაპონიის პარლამენტის დავალებით და დარწმუნებული ვართ, რომ ეს განამტკიცებს გაგებასა და მეგობრობას საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის და გამოიწვევს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას მათ შორის.

ჩვენ ძალიან მოხარული და მადლობელი ვართ, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყანაზე — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე გავლის დროს სტუმართმოყვარულად შეგვეგებნენ და შესაძლებლობა გვექნება ვესაუბროთ თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელებს.

დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანას აქვს მშვიდობის იმედი. ხალხთა შორის არსებული უთანხმოებანი თანდათან ისპობა. დარწმუნებული ვართ, რომ დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენა მეზობელ ქვეყნებს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და იაპონიას შორის და ჩვენს ორ ქვეყანას შორის ფართო ეკონომიური და კულტურული გაცვლის რაც შეიძლება მალე განხორციელება იქნება არა მარტო ჩვენი ორი ხალხის გულწრფელი მისწრაფების ობიექტები, არამედ ხელს შეუწყობს მშვიდობის უზრუნველყოფას მთელ მსოფლიოში.

ჩვენ, იაპონიის პარლამენტის დელეგაციის წევრებს, რომელიც საბჭოთა კავშირში მივემგზავრება, გვსურს ვისარგებლოთ მოკლე ხნით აქ ყოფნით, რათა გადავცეთ იაპონელი ხალხის მეგობრობის სიტყვები ჩინელ ხალხს და გავაკეთოთ რამე სასარგებლო, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთ გაგებისა და მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

დასასრულ ჩვენ კვლავ გამოვთქვამთ დიდ მადლობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნისა და ჩინეთის 600-მილიონიანი ხალხისადმი. ჩვენ გიწვდით მეგობრობის ხელს, რათა ჩამოგართვათ ხელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა დაიწყო მუშაობა

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა, რომელიც მოწვეულია ოთხი საბელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის რეკომენდაციით.

ქვეკომიტეტმა უნდა განიხილოს განიარაღების მისაღები სისტემის შემუშავების საკითხი ისე, რომ გათვალისწინოს აზრები და წინადადებანი, რომლებიც წამოაყენეს 4 საბელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა ჟენევაში.

ქვეკომიტეტის პირველ სხდომას თავმჯდომარეობს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ა. სობოლევი.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის საეკონომო ურთიერთობის გამო

ქაბული, 27 აგვისტო. (საკდესი). წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად მიმდინარე წლის 27 აგვისტოს ქაბულში ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის მორიგი ერთი წლის პერიოდისათვის საქონელბრუნვის შესახებ.

ოქმი ითვალისწინებს საქონელბრუნვის შემდგომ მნიშვნელოვან გაფართოებას სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის. საბჭოთა კავშირიდან ავღანეთში გაიზრდება ნავთობპროდუქტების, შავი ლითონების ნაგლინის, საშენი მასალების, ავტომობილების, მოწყობილობის, ქსოვილების, შაქრისა და სხვა საქონლის მიწოდება, ხოლო ავღანეთიდან სსრ კავშირში — მატყლის, ბამბის, ტყავის ნედლეულის, ხმელი ხილის, ზეთისხილის თესლის მიწოდება.

ინდოეთის წითელი ჯვრის მაღლობა

პრესა უკვე იუწყებოდა, რომ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ფონდში შეიტანა 100 ათასი ინდური რუპია იმ პირებისათვის დახმარების გასაწევად, რომლებიც ინდოეთის აღმოსავლეთ რაიონებში წყალდიდობით დაზარალდნენ.

იმ თანგრძნობის დეპეშის პასუხად, რომელიც საბჭოთა წითელი ჯვრის აღმასკომის თავმჯდომარემ პროფესორმა გ. ა. მიტერევმა ინდოეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარესა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ქალბატონ რაჯკუმარი ამრიტ კაურს გაუგზავნა, მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„პროფესორ მიტერევს — საბჭოთა წითელი ჯვრის თავმჯდომარეს. ნიუ-დელი, 27 აგვისტო.

დიდად გმადლობთ თქვენი თანგრძნობისათვის წყალდიდობის გამო და პრემიერ-მინისტრის ფონდში წყალდიდობის მსხვერპლთა დასახმარებლად უხვი შენატანისათვის.

ამრიტ კაური“.

(საკდესი).

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

პარიზი, 29 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელიც მაროკოში შექმნილი მდგომარეობის განხილვას მიეძღვნა, დღეს ნაშუადღეზეს დამთავრდა.

მაროკოსა და ტუნისის საქმეთა მინისტრმა პიერ ჟიულმ, რომელმაც გუშინ მინისტრთა საბჭოს გაუკეთა მოხსენება ექს-ლე-ბენის მოლაპარაკების შესახებ, წაიკითხა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ მთავრობამ „დაადასტურა გადაწყვეტილება მაროკოს მომართ საერთო პოლიტიკის შესახებ“, რაც მიღებულია ექს-ლე-ბენის მოლაპარაკების შემდეგ.

პიერ ჟიულმ თქვა, რომ მთავრობამ გადაწყვეტა მიიღოს ყველა ღონისძიება 12 სექტემბრამდე მაროკოს მთავრობის ჩამოსაყალიბებლად.

საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია კანადაში

ოტავა, 29 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). 27 აგვისტოს დილით საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია მონრეალიდან კანადის დედაქალაქ ოტავაში გაემგზავრა. გზაში დელეგაციამ დაათვალიერა კვებეკისა და ონტარიოს პროვინციების მინდვრები და ნათესები და ეწვია კანადის სოფლის მეურნეობის ფედერაციის თავმჯდომარის ჰენემის ფერმას. ფერმაში დელეგაციას შეხვდნენ ფერმის პატრონი, კანადის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გორდონ ტეგარტი და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წრეების წარმომადგენლები.

ჰენემი მიესალმა საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის წევრებს და თქვა: „დღეს აქ თქვენ გხვდებიან კანადის ფერმერები. მათი სახელით და როგორც მათი წარმომადგენელი ბედნიერი ვარ მივესალმო და მივიწვიო ფერმერთა ოლქში ჩვენი სპატიო სტუმრები, რომლებიც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა წარმომადგენლები არიან. კანადის ფერმერებს მიაჩნიათ, რომ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის კეთილ ნებაზე დამყარებული მეგობრობა საუკეთესო დუღაბია მთელი მსოფლიოს მშვიდობის მშენებლობისათვის...

...ჩვენ გვსურს, რომ თქვენ ამის შესახებ უამბოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მუშაკებს და გადასცეთ მათ კანადის ფერმერთა მილოცვა“.

კანადის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით დელეგაციას მიესალმა კანადის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ტეგარტი. „ჩვენ ძალიან მოხარული ვართ გიხილოთ კანადაში, — თქვა მან, — და გიჩვენებთ ყველაფერს, რაც გაინტერესებთ“.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. მაცკევიჩმა მადლობა გადაუხადა ჰენემსა და ტეგარტს გულთბილი მისალმებისათვის.

დელეგატებმა დაათვალიერეს ფერმა და ჰენემს საჩუქრად მიართვეს პალეხელ ოსტატთა მიერ გაკეთებული ყუთი.

ჰენემმა გულთბილი მადლობა გამოთქვა საჩუქრისათვის და თქვა, რომ იგი მას მოაგონებს კანადისა და საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მეგობრობას.

ნაშუადღევს დელეგაცია ოტავაში ჩავიდა. 29 აგვისტოს დელეგაცია გაფრინდება სასკაჩევანის პროვინციის ქალაქ რეჯაინაში.

საბჭოთა დელეგაცია ოსლოში ჩავიდა

ოსლო, 29 აგვისტო, (საკდესი). საზოგადოება „ნორვეგია-სსრ კავშირის“ მოწვევით ოსლოში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან მწერალი კ. სიმონოვი, პროფესორი ი. ოლოვი და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი ე. ტრეტიაკოვი. დელეგაცია ათ დღეს დარჩება ნორვეგიაში.

რუმინეთის მთავრობის გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალების 40 ათასი კაცით შემცირების შესახებ

ბუქარესტი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, რუმინეთის. სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ქვეყნის თათბირის შედეგად, რომელმაც ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის გარკვეულ შენელებას, სურს რა თავისი წვლილი შეიტანოს სახელმწიფოთა ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომ შენელებაში, გადაწყვიტა 1955 წლის 1 დეკემბრამდე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რაოდენობა შეამციროს 40 ათასი კაცით. განთავისუფლებული სახსრები მოხმარდება საცხოვრებელი სახლებს მშენებლობას და სხვა სოციალურ-კულტურულ საჭიროებებს.

ასტრონომთა IX საერთაშორისო კონგრესი

ლონდონი, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს დუბლინში (ირლანდია) გაიხსნა ასტრონომთა IX საერთაშორისო კონგრესი. კონგრესში მონაწილეობს 41 ქვეყნის (სსრ კავშირის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ინდონეზიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვ.) 600 დელეგატი.

კონგრესის გახსნაზე დელეგატებს მიესალმა ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯონ კოსტელო.

ინგლის-საბერძნეთ-თურქეთის მოლაპარაკება ლონდონში

ლონდონი, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს ლონდონში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ მაკმილანის თავმჯდომარეობით დაიწყო ინგლის-საბერძნეთ-თურქეთის მოლაპარაკება პოლიტიკურ და სამხედრო პრობლემებზე, რომლებიც ეხება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონს და, კერძოდ კვიპროსის კუნძულს. საბერძნეთის დელეგაციას ამ მოლაპარაკებაზე მეთაურობს საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სტეფანოპულოსი, ხოლო თურქეთის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ზორლუ. კვიპროსის მოსახლეობა მოლაპარაკებაზე წარმოდგენილი არ არის.

როგორც ცნობილია კვიპროსის ბერძენი მოსახლეობა უკვე დიდი ხანია იბრძვის იმისათვის, რომ მოისპოს კვიპროსზე კოლონიური რეჟიმი და მიენიჭოს მას თვითგამორკვევის უფლება.

ლონდონს თათბირი მოწვეულია ინგლისის ინიციატივით, რაც მოწმობს, თუ რა სიძნელეებს განიცდის ინგლისის კოლონიური ადმინისტრაცია კვიპროსზე.

როგორც ამერიკის სააგენტოები იუწყებიან, ინგლისი დაინებებთ მოითხოვდა, რომ მოლაპარაკება დახურული ყოფილიყო. მაგრამ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა დღეს, რომ იგი კვიროში ორჯერ პრეს-კონფერენციას მოაწყობს მოლაპარაკების გასაშუქებლად.

მოლაპარაკების გახსნას წინ უძღოდა მრავალი დემონსტრაცია და მიტინგი კვიპროსზე, რომელთა მონაწილეებიც მოითხოვდნენ, რომ კვიპროსს მიენიჭოს თვითგამორკვევის უფლება.

სპორტის ამგეგი

დამთავრდა შეჯიბრება ევროპის პირველობაზე ნიჩბოსნობაში

საბჭოთა ნიჩბოსნების წარმატება

ბრიუსელი, 29 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს გენტში დამთავრდა შეჯიბრება ევროპის პირველობაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის სხვა ქვეყნის სპორტსმენები.

შეჯიბრების შედეგად საბჭოთა კავშირის გუნდმა მოაგროვა 29 ქულა და დაიკავა პირველი საერთო გუნდური ადგილი. მეორე ადგილზე არიან დანიის სპორტსმენები, რომლებმაც 18 ქულა მოაგროვეს, მესამე ადგილზე — შვეიცარის სპორტსმენები — 17,5 ქულა.

საბჭოთა კავშირის გუნდს გადაეცა პრიზი ყველაზე მეტი პირველი ადგილებისათვის ევროპის ნიჩბოსნობის 1955 წლის ჩემპიონატში. ამავე დროს სსრ კავშირის გუნდს გადაეცა პრიზი ყველაზე მეტი ქულებისათვის, რომლებიც ფინალში გამოსულმა სპორტსმენებმა მოაგროვეს.

მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი შეჯიბრებაზე გაემგზავრა იტალიაში

29 აგვისტოს მოსკოვიდან იტალიაში გაემგზავრა მოსკოვის საზოგადოება „დინამოს“ გუნდის ფეხბურთელთა ჯგუფი. მეორე ჯგუფი 30 აგვისტოს გაემგზავრება.

მოსკოველ დინამოელთა გამგზავრება იტალიაში საპასუხო ვიზიტია იტალიის სასპორტო კლუბ „მილანის“ ფეხბურთელთა მიერ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისა.

საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ორ ამხანაგურ შეჯიბრებაში იტალიელ ფეხბურთელთა გუნდებთან. 4 სექტემბერს ისინი შეხვდებიან სასპორტო კლუბ „მილანის“ გუნდს და 8 სექტემბერს — სასპორტო კლუბ „ფლორენტინის“ გუნდს (ფლორენცია).

სპორტულ დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ვ. პ. ანტიპენკოი. (საკდესი).

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები საცხენოსნო სპორტში

მოსკოვში სახელმწიფო იპოდრომის მინდორში 28 აგვისტოს დამთავრდა სსრ კავშირის პირველობაზე შეჯიბრება საცხენოსნო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა არმიის, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობის ნებაყოფლობითი საზოგადოების და სასპორტო საზოგადოებათა „ბურევესტნიკის“, „დაუგავა“, „დინამოს“, „პიშჩევიკის“, „სპარტაკის“ და „ოროიის“ გუნდებმა.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს მოგწყო მარული დაბრკოლებებით 4 ათას მეტრზე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება ამ რთულ შეჯიბრებაში მოიპოვა საზოგადოება „ოროჟაის“ ახალგაზრდა სპორტსმენმა, კრასნოდარის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ყუბანის“ მუშამ ა. კურდიუკოვმა.

გაიმართა აგრეთვე შეჯიბრება ცხენით დაბრკოლებათა გადალახვაში (უმაღლესი კლასი). საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა საბჭოთა არმიის წარმომადგენელი ბ. ლიოლოვი. სპორტის ოსტატი ლიოლოვი გამარჯვებული გამოვიდა აგრეთვე დაბრკოლებათა გადალახვის სამ შეჯიბრებაში.

საცხენოსნო სამჭიდში პირველობა მოიპოვა ვ. მიშინმა (საბჭოთა არმია).

ცხენის ხედნაში პირველი ადგილი დაიკავა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენმა ა. ეიგოროვმა.

7 დღის ბრძოლის შედეგად შეჯიბრებაში გუნდური პირველობა მოიპოვეს საბჭოთა არმიის მეორე გუნდის ცხენოსნებმა. მეორე ადგილზეა საბჭოთა არმიის პირველი გუნდი, მესამეზე — საზოგადოება „ოროიის“ სპორტსმენები. (საკდესი).

სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში

2 სექტემბერს ქ. ვოროშილოვგრადში გაიხსნება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადის და მოძმე რესპუბლიკების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები. თვითეული გუნდში შედის 6 კაცი და 2 ქალი.

მიმდინარე წლის საკავშირო პირველობა ორ საფეხურად ჩატარდება: ჯერ გაიმართება ორი ნახევარფინალური ტურნირი, რომლებშიც ითამაშებს ცხრა-ცხრა გუნდი. შემდგომ ნახევარფინალებში ხუთ-ხუთი გამარჯვებული გუნდი შეადგენს ფინალურ ტურნირს, რომელშიც გამარჯვებულს მიენიჭება საბჭოთა კავშირის 1955 წლის ჩემპიონის სახელი და გუნდის წევრებს მიეცემათ ჩემპიონის ოქროს მედლები. შეჯიბრება 1 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

გუშინ თბილისიდან ვოროშილოვგრადში გაემგზავრა ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან საქართველოს ჩემპიონი ოსტატი მ. შიშოვი, ოსტატობის კანდიდატები ბ. გურგენიძე, ა. ბუსლაევი, ნ. სოროკინი, თ. გიორგაძე, პირველთანრიგოსნები ო. ელიოზიშვილი, საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის ე. კაკაბაძე და ქ. გოგიავა. რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ჭადრაკში გ. გაჩეჩილაძე.

დამთავრდა სააგიტაციო მოტოგადარბენა

დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისადმი მიძღვნილი სააგიტაციო მოტოგადარბენა. მოტოგადარბენის მონაწილეებმა მოიარეს საქართველოს თითქმის ყველა რაიონი. ისინი ადგილებზე მართავდნენ ლექციებ-მოხსენებებს სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის შესახებ. 28 აგვისტოს მოტოგადარბენის მონაწილენი თბილისს დაბრუნდნენ.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მოსკოვი. 30 აგვისტო. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა“ და „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა — 4 : 3.

კიევი. 30 აგვისტო. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამოსა“ და კიევი-შევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 4 : 1.

„ბ“ კლასი

მორიგი კალენდარული მატჩები ჩატარდა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის გუნდებს შორის. 26 აგვისტოს ერევანში ადგილობრივი „სპარტაკის“ გუნდმა ანგარიშით 5 : 0 დაამარცხა როსტოვის „ტორპედო“. 28 აგვისტოს სვერდლოვსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ოფიცერთა სოლოქო სახლისა და „ავანგარდის“ გუნდები. გაიმარჯვეს არმიელებმა ანგარიშით 2 : 0.

რესპუბლიკის პირველობაზე

28 აგვისტოს თბილისში 26 კომისრის სტადიონზე გაიმართა შეხვედრა ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 1:0.

პრიზის მოსაპოვებლად

გრძელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზის გათამაშება ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლებს შორის. 29 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ლენინგრადის ახალგაზრდული სკოლების ფეხბურთელები. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 4:1.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კურორტი შოვი. მეორე სანატორიუმი.
ფოტო შ. გოქაძისა.

ფეიქართა დასვენება

თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის პროფორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს მუშა-მოსამსახურეთა მკურნალობასა და დასვენებას. წელს ფაბრიკის 82 მუშა-მოსამსახურემ უკვე დაისვენა და იმკურნალა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე — სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ფეიქრები იყვნენ წყალტუბოში, წყაღვიერში, ცემში, ბორჯომში, ლიკანში, სურამში, შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე — ქობულეთში, მწვანე კონცხზე, გაგრაში, გუდაუთში და სხვ. სექტემბერ-ოქტომბერში დასასვენებლად გაიგზავნება ფაბრიკის 60-მდე მუშა.

მზრუნველობით არიან გარემოსილნი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შვილები. სხვადასხვა კურორტზე პიონერთა ბანაკებში ზაფხული გაატარა 239 ბავშვმა, ხოლო სკოლამდელი ასაკის 110 ბავშვი გაგზავნილი იყო ბორჯომის ხეობაში ფაბრიკის მიერ მოწყობილ სბავშვო ბაგებსა და ბაღებში.

ყურადღება ექცეოდა ქალაქში მყოფ მუშა-მოსამსახურეთა დასვენებასა და გართობას. კოლექტივი კვირა დღეებში ორგანიზებულად დადიოდა „თბილისის ზღვაზე“, ლისის ტბაზე, ქალაქის პარკებსა და ბაღებში, აწყობდა ექსკურსიებს.

საწარმოო მივლინება

ახალი საწარმოო ტექნიკის ათვისებისა და მოწონაყოთა გამოცდილების გაზიარების მიზნით ქუთაისის აბრეშუმკომბინატის ხელმძღვანელობამ მოსკოვის, ლენინგრადის, კაუნასისა და რიგის საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში მიავლინა კომბინატის მთავარი ინჟინერი ნ. ბაათაევა, № 1 საქსოვი საამქროს უფროსი მ. პაიკაძე და უფროსი ოსტატი დ. ცომაია.

ქუთაისელი ფეიქრები საწარმოო მივლინებაში დაჰყოფენ 20 დღეს და გაეცნობიან საფეიქრო მრეწველობის მოწინავე საწარმოთა ტექნიკურ სიახლეებს.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 1 და 2 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა. სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით წვიმა. აღმოსავლეთის სუსტი, მდინარე რიონის ხეობაში ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 14-19, დღისით 23-28 გრადუსი; მთიან რაჭა-ონებში ღამით 12-17, დღისით 17-22 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა. ალაგ-ალაგ წვიმა, უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 12-17, დღისით 20-25 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 17-22, დღისით 6-11 გრადუსი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

10 — 11 სექტემბერს
სასწავლო წლის დაწყებასთან
დაკავშირებით
დიდი
მუსიკალური — საესტრადო — სპორტული
საღამო
დაწვრილებითი აფიშებში
დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ბილეთები ნაწილდება წინასწარი მოთხოვნით ცენტრალური თეატრალური სალაროს საშუალებით.
პლეხანოვის პროსპ. № 118, ტელეფონი № 3-54-18.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

31 აგვისტს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობაზე
„ბ“ კლასი
როსტოვის „ტორპედო“ — თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლი
დასაწყისი 5 სა. 30 წ.

ლიკვიდაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი
(ზახარაძის ქ. № 14)

1955 წლის 10 სექტემბერს სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

დილის 11 საათზე
ილია ნესტორის-ძე ტიკაძე
თემაზე: „К вопросу о финансах в период второй мировой войны“.

დღის 1 საათზე
რუბენ ალექსის-ძე აროთინოვი
თემაზე: „Развитие хлопководства в Армении после ее присоединения к России (бывшая Эриванская губерния)“.

სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ქ. თბილისის 35-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის XI კლასის მოსწავლის
გივი გრიგოლის-ძე ლოლაძის
გარდაცვალებას.

მშობლები პელაგია, ლეონტი, მეუღლე თამარ, შვილები ლევან, ნუნუ, იზოლდა იუწყებიან
გიორგი ლეონტის-ძე ნინუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IX, 5 ს. სოფელ კულაშში (სამტრედიის რაიონი).

მოქალაქე **მიხეილ გიორგის-ძე ჭიკინაძემ**, მცხოვრებმა ფიროსმანის ქ. № 28, აღძრა საქმე პეტრაშვილის ქ. № 6 მცხოვრებ მოქალაქე **ცისანა ივლიანეს ასულ მესხ-ჭიკინაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ზაქარია თათეოსის-ძე დერზიანმა**, მცხოვრებმა ბაუმანის ქ. № 76, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გრაჩა ალექსანდრეს ასულ დერზიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები ოლია, მაქსიმე, დები თამარ, მადონა, ლუბა, ტატუშა, მეუღლე ფარნა ოჯახებით იუწყებიან
მარო მაქსიმეს ასულ გამსახურდიაჯაბაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-IX ქ. გალში. გამოსვენება ჩაის ფაბრიკის ქ. № 38.

მეუღლე მაშო, შვილები ლიდა, გიული, დარიკო, მადონა იუწყებიან
მიხეილ დავითის-ძე მღვდლიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-IX, 5 ს. სოფელ კარდანახში (ყურეველის რაიონი).

მეუღლე ნინო, შვილი თამარ ოჯახით იუწყებიან
ტრიფონ იაგორის-ძე კოპალეიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-VIII, 8 ს. გამოსვენება 1-IX, 5½ ს. კამოს ქ. № 71.

მეუღლე ამალია, შვილები ლამარა, ცაცო, ცისანა, ნანული, დები ლიდა, თამარ